№ 66
ოთხშაბათი, 27 მარტი 1902 წ.

ბაზეთი ღირს:

თვე		მან.	კ.	თვე		მან.	კ.
12	. . .	10	—	6	. . .	6	—
11	. . .	9	50	5	. . .	5	50
10	. . .	8	75	4	. . .	4	75
9	. . .	8	—	3	. . .	3	50
8	. . .	7	25	2	. . .	2	75
7	. . .	6	50	1	. . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

,,ივერიის'' ტელეფონი № 227.

1877—1902

ივერია

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 66
ოთხშაბათი, 27 მარტი 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც.
საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხე ხეზედ—5 კაპ.

,,ივერიის'' ტელეფონი № 227.

ნინო ნიკიფორეს ასული, გოგოლი დიმიტრის ასული, ჯიმშერ და გიგო ბეჟანის ძენი ბერეჟიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარის ქმრის, მეორე მაზლის და მესამენი ძმის

სიმონ ბეჟანის ძის ბერეჟიანისას

და სთხოვენ დაესწრნენ დასაფლავებას სოფ. ხიდისთავში, საკუთარს სახლში, 30 მარტს, შაბათს, დილის 9 საათზე. (1—321—1)

1 აპრილიდგან წლის დამლევამდე გაზეთი

„ივერია“

ღირს **რვა მანეთად** (8 მ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის'' რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“. ტელეფონი № 227.

წლიური ჩვეულებრივი საზოგადო კრება

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა

დანიშნულია 6 აპრილს, შაბათს, დილის ათ საათზე, ს. კუხს, ამხანაგობის სამმართველოში. საგნები კრებისა: 1) 1900 და 1901 წლების ანგარიშების დამტკიცება; 2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა სამინისტროსაგან დამტკიცებულის წესდების თანახმად; 3) 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება; 4) ამხანაგობის მმართველის მიერ წარმოდგენილ მოსაზრების განხილვა ორის წლით, საცდელად, წარმომადგენელთა საზოგადო კრების შემოღების შესახებ; 5) გამგეობისადმი მინდობა ამხანაგობის აღებ-მიცემობისათვის ფულის სესხებისა და 6) ამხანაგობათა კავშირის წესდების შემუშავებისა და დასამტკიცებლად წარდგენის მინდობა გამგეობისადმი სხვა ამხანაგობათა წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

(10—6.—1) ამხანაგობის მმართველი **ნესტორ წერეთელი.**

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

წარმომადგენელი აცხადებს ამხანაგობის წევრთა საყურადღებოდ, რომ ტფილისში კვირას, 31 მარტს, 1902 წ. დილის 10 საათზე, სამეურნეო ბანკის სადგომში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლში) დანიშნულია წევრთა

საზოგადო წლიური კრება.

ვინიცობაა დანიშნულ დღეს წევრთა კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა და კრება არ შესდგა, იგი გადიდება შემდეგის კვირის, 7 აპრილისათვის, და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველი შემდეგი საგნებია:

1) განხილვა და დამტკიცება ამხანაგობას 1-ლ წლის მოქმედების ანგარიშისა.
2) განხილვა და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1902 წლისთვის.
3) ამხანაგობის წესდების გადასინჯვა-შეცვლა და დამატება ზოგიერთ პარაგრაფისა.
4) ამხანაგობის ძირის თანხის გაძლიერება და საზოგადოდ მოსაზრებანი საქმის უკეთესად წარმოებისათვის.
5) მოსაზრება იმაზე, თუ რამდენად მოსახერხებელი იქნება ამხანაგობის სააქციონერო საზოგადოებად გადაკეთება.
6) არჩევანი გამგეობის ორის წევრისა და მათის კანდიდატებისა, საბჭოს ხუთის წევრისა და მათის კანდიდატებისა. (3—6.—2)

ავადმყოფის

მომვლელი ქალი

ეძებს ადგილს. აქვს ექიმების მოწმობანი. იცის აგრეთვე მზარეულობა. ადრესი: „ვერსალის'' სასტუმრო, სიკოვისა. (2—317—2)

ყვირილის თეატრის ამხანაგობა

ამით აცხადებს, რომ წევრთა პირველი მორიგი კრება დანიშნულია 28 მარტს, საღ. 5 საათზე, ყვირილის ნორმალურ სასწავლებლის დარბაზში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) გამგეობის მოხსნება ამხანაგობის მდგომარეობის შესახებ.

2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა. კრებაზე არა წევრთაც შეუძლიანთ დასწრება.

ამხანაგობის თავმჯდომარე კნ. **ვ. ს. წერეთლისა.**
(2—უ.—2)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (წ.)

ექიმი

ვახტანგ ღამბაშიძე

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. ტელეფონი № 642. (წ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 ს., გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

ე. გ. ფედოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა, 5—6 საათ. მიკრო-ქიმიური და საბაქტეროლოგო გამოკვლევანი.

გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

კ. ი. ბძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, თვალისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6 7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасаріанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

მოვიწვევთ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთ საზოგადოების **კრებაზედ**, რომელიც დანიშნულია ოთხშაბათს, ამა მარტის 27, საღამოს 8 საათზედ.

საგნები განხილვისა:

1. მიმდინარე საქმეები

და 2. განხილვა ბ-ნ მაევსკის მოხსენებისა „მუღანოს მინდვრის მორწყვის შესახებ“ (გაგრძობა).

არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ კრებას. (1—6.—1)

ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი მოიწვევს მაზრის თავად-აზნაურთ

საგანგებო სამაზრო კრებაზედ

ამა მარტის 31, კვირას, დილის 10 საათზედ, თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში.

საგნები განხილვისა:

1. რა დანიშნულებითა და რა წესით იქმნას დახარჯული უმაღლესად ნაბოძები 40 ათასი მანეთი ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მოზარდ თაობის აღსაზრდელად

და 2. რა დღისათვის იქმნას მოწოდებული მორიგი კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა. (3—6.—1)

ახალი ამბავი

◆ „მმართებლობის მოამბეში“ გამოცხადებულია, რომ თელავის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ-დი ჩოლოყაშვილი დაინიშნა საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ ტფილისის სასამართლო ოლქში.

◆ მარტის 24-ს ტფილისის საკრებულოს დარბაზში შესდგა ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა წლიური კრება, რომელსაც დაესწრო 260-მდე წევრი. 1901 წ. ანგარიშის დამტკიცების შემდეგ კრება შეუდგა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის, დირექტორის, საბჭოსა და სარევიზიო კომისიების წევრთა არჩევნებს. არჩეულ იქმნენ: გამგეობის თავმჯდომარედ ა. ა. იოანისიანი, დირექტორად გ. მ. თუმანოვი, საბჭოს წევრად—დ. თუმანოვი, სარევიზიო კომისიის წევრებად—პ. ოპოჩინინი, ვ. კანდურალოვი და ი. ტერ-მიქელოვი.

ამავე კრებამ დადგინა შემახაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ 2,000 მანეთით შემწეობა აღმოეჩინოსთ.

◆ ორშაბათს, 25 მარტს, სახაზინო თეატრში დაიწყო გასტროლები საიმპერატორო თეატრების არტისტის ბ-ნ ფიგნერისა. ამ დღეს ფიგნერის მონაწილეობით წარმოადგინეს ოპერა „რომეო და ჯულიეტა.“ თეატრი სავსე იყო ხალხით.

◆ ტფილისის სასულიერო სემინარიის გამგეობამ შეატყობინა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ალექსანდრეს, რომ მისი სურათი ორმოცის წლის იუბილეის დღესასწაულის სახსოვრად დაკიდებულ იქმნება სემინაარიის დარბაზში. ეპისკოპოსმა გულითადი მადლობა გადაუხადა სემინარიის მმართველობას და შესწირა 200 მანეთი. ამათგან 100 მანეთი ღარიბ შეგირდების სასარგებლოდ და ასი სამკითხველოსთვის წიგნების შესაძენად.

◆ 25 მარტს ავჭალის ქუჩის წარმოდგენებისა და სახალხო კითხვათა შენობაში სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს სუნდუკიანცის სამ-მოქმედებიანი კომედია „დაქცეული ოჯახი“. წარმოდგენამ ერთობ კარგად ჩაიარა და დამსწრეებიც დიდად ნასიამოვნებნი დარჩნენ.

◆ დღეს, 27 მარტს, საღამოს რვა საათზე დანიშნულია კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც უნდა განიხილონ და უკანასკნელად დაადგინონ რამე შესახებ მაევსკის მოხსენებისა „მუღანოს ველის სარწყავ არხების გაყვანის შესახებ. კრებაზე მიწვეულნი არიან სპეციალისტი წევრები სატეხნიკო საზოგადოებისა.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურის თეატრში ქართულ სახალხო წარმოდგენების სექცია წარმოადგენს 31 მარტს სუნდუკიანცის კომედიას „ხათაბალას“.ს.

◆ ამას წინად ჩვენს მკითხველებს ვაუწყეთ, თუ როგორ მოკლეს, საზიზღარის ძალმომრეობის შემდეგ, გორის მაზრის მემამულის თ-დის ა—რის მცირე-წლოვანი ვაჟი ოთხმა ქალაქელმა ძმა-ბიჭმა. სამწუხაროდ ამ ამბავს ახლა უნდა დავუმატოთ, რომ ამ დღეებში უფროსი, 17 წლის, ძმა იმ ა—რისა, უკვალოდ დაკარგულა აგერ ეს ერთი კვირაა.

◆ მთავრობას გადაუწყვეტია ნება დართოს ვაშლოვანისა და დიდ თონეთის სოფლის საზოგადოებათ სესხად აიღონ სოფლის სასოფლო მეურნეობის თანხიდგან—პირველმა 935 მან. და მეორემ 2,500 მან. ხორბლის საყიდლად საზრდოთა და სათესლედ. აღებული სესხი ხუთის წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად უნდა იქმნას გადახდილი.

◆ ივანე ტულუშის დაჭერის თაობაზე შემდეგს დამატებითს ცნობებს ვპოულობთ „კასპში“: ტულუში, რომელმაც გაიტაცა 10,000-ოდე მანეთი, დაიჭირეს შავს ქალაქში ალიბეგოვის თოკის ქარხანაში, სადაც მას მალავდა ქარხანაშივე მოსამსახურე ირაკლი ნადირაშვილი. დაჭერის დროს ტულუშს უნახეს 3,745 მან., ნადირაშვილს 1,000 მან. ტულუშმა სთქვა, რომ 500 მან. ოზურგეთის მოქალაქეს დიმიტრი ხურუშაძეს მივეციო. ხურუშაძემ-კი თავის მხრივ ვიღაც მედუქნე ექვთიმე გოშტაური დაასახელა, იმან მომპარაო. გოშტაური უარს ამბობს, არაფერი მომიპარავსო. ტულუშს გარდა დაუჭერიათ: ნადირაშვილი, ხურუშაძე და გოშტაური. პოლიციამ ყველანი გამომძიებელს გადასცა.

◆ „კასპის“ სიტყვითვე ახალს უფროსს ამიერ-კავკასიის რკინის გზისას განუზრახავს: დაუკლოს გავლილ ვერსების რიცხვისამებრ (поверстные) გასამრჯელო მიხაილოვის სამთო ნაწილის მაშინისტებს შვიდ მანეთამდე ათას ვერსზე, ბ) შეამციროს რკინის გზის იმავ ნაწილზე კონდუქტორების რიცხვი იმ ნორმამდე, რომელიც მიღებულია შიდა-რუსეთის რკინის გზებზე, სადაც მატარებლებს, მარტო სამი კონდუქტორი ემსახურება. კონდუქტორების ბრიგადების ნორმა და მაშინისტების გავლილ ვერსების რიცხვისამებრ დაჯილდოვება თვით ცხოვრებისაგან არის შემუშავებულიო, სამართლიანად დასძენს ,,კასპი'', და მათს შეცვლას, საეჭვოა, რომ კარგი შედეგი მოჰყვესო, რადგანაც რკინის გზას მთებში უფრო ფხიზლად თვალ-ყურის გდება და შრომა სჭირია კონდუქტორების მხრივ, ვიდრე რუსეთის მინდორ-ვაკეებზე.

◆ გამოვიდა ყოველ-წლიური გამოცემა «რუსეთში სააქციონერო საქმის შესახებ სტატისტიკურ ცნობებისა'' 1901—1902 წ. რუსეთში, ამ გამოცემის ცნობებით, ამ ჟამად მოქმედებს სულ 1468 აქციონერთა კომპანიები, რომელთაც აქვთ ორი ათას ხუთასი მილიონი ძირითადი თანხა. მათშორის უცხოელებს ეკუთვნისთ 228 კომპანია 393.845,187 მან. თანხით. ნავთის მრეწველობაში მოქმედებს 51 აქციონერთა კომპანია 173.963,475 მან. თანხით. ამ 51 კომპანიაში 12 აქვს ძირითადი თანხა 4—5 მილიონამდე, 11-ს 2—3 მილიონამდე, 9-ს 1—2 მილიონამდე, 5-ს 5—10 მილიონამდე, ერთს კომპანიას აქვს 15 მილიონი და ერთსაც 22 მილიონი ძირითადი თანხა.

◆ 18 თებერვალს ამა წლისა გარდაიცვალა კონსტანტინოპოლში ყველა აქ ჩამოვარდნილ გაჭირვებულ ქართველთა ხელის გამწყობი ალექსანდრე ივანეს ძე გარაყანიძე.

მეორე დღეს, საათის 11, დილით, იგი წაასვენეს სასაფლაოზედ ხელით. წინ მიუძღოდა მიცვალებულს რუსთა საავადმყოფო ეკკლესიის წინამძღვარი მღვდელი სერგეი ორლოვი და გუნდი მგალობლებისა. პატივი სცეს მიცვალებულს და გააცილეს ეკკლესიიდან ყველა აქაურმა ქართველობამ, როგორც ქრისტიანებმა ისე მუსულმანებმაც. აგრეთვე იყვნენ რუსები და ოსმალონიც. მისს კუბოს ამშვენებდა რამდენიმე ძვირფასი გვირგვინი ზედწარწერებით.

—

იმერეთის ამბები:

—

◆ ბათუმი: მიწათ-მოქმედების მინისტრმა შესაძლოდ დაინახა, რომ იმათ, ვინც ბათუმის ოლქში მიწები შეიძინა საგანგებოდ ამ ოლქისათვის არსებულ კანონის შეუსრულებლად, დაუთმოსთ მათ მიერ შეძენილი მიწები მემკვიდრეობით სასარგებლოდ, თანახმად სასოფლო მეურნეობის წესდებისა მცირე გადასახადით. ვისაც ამ უფლებით მიეცემა მიწა, იმათ შეუძლიანთ საკუთრებადაც გამოიყიდონ ის, როცა ისურვებენ, შემოსავლის დავვარ შეფასებით.

◆ ქუთაისი: აქაურის საურთიერთო ნდობის საზოგადოების რევიზორები ჭიათურაში წავიდნენ, რომ დაათვალიერონ საზოგადოებაში 450,000 მანეთად დაგირავებული შავი ქვა, რომლის რაოდენობა და ღირსება სრულიად საკმაო არის უზრუნველ-ჰყოს ორი იმდენი სესხიც, როცა დღეს არის მათზე გაცემული.

ესეთი რევიზია ამ ჟამად სწარმოებს რუსეთის სხვა საურთიერთო ნდობის საზოგადოებაშიაც და შედეგია მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს ზოგადის სისტემისა, მაგრამ წარმოიდგინეთ—აქაურთ თუ იცნობთ, ადვილად წარმოიდგენთ,—რომ ზოგიერთი აქაური ვაჭბატონები იფერებენ, ვითომც ეს რევიზია მათის „საკუთარ დანოსებით“ იყოს გამოწვეული!

იმავ ვაჭბატონებმა დაჰყარეს ხმა კრედიტის საქმის უცოდინართა შორის, რომ საზოგადოება იღუპებაო. ზოგიერთ გულუბრყვილო და ადვილად დამჯერე შემნახველმა დაიჯერა ეს ჭორი და მართლაც მოითხოვა და მიიღო კიდეც კასსიდან, რაც შენახული ჰქონდა... მალე ყველამ გაიგო, თუ რა ტყუილი განგაში დაჰკრეს ყველა ჩვენებურ საქმის პატიოსნად წაყვანის მოწინაამდეგეებმა.

შეცდომის გასწორება:

—

„ივერიის“ № 65-ში „ახალ ამბავის“ პირველ პწკარში დაბეჭდილია: „დღეს“, უნდა იყოს: „მარტის 31-ს„.

ხმოსანთა კერძო კრება

კვირას, 24 მარტს, დილის 11 საათზე, სასტუმრო „ვეტცელის“ შენობაში შესდგა მესამე საარჩევანო უბნის ამომრჩეველთა კერძო კრება ბ-ნ ბაბოვის თავმჯდომარეობით. კრებამ შეადგინა მომავალ ხმოსნებისათვის მოღვაწეობის შემდეგი პროგრამა: 1) ერთნაირად იზრუნონ ტფილისის მცხოვრებთათვის განურჩევლად მათის ეროვნებისა და სარწმუნოებისა, 2) თანასწორად გაანაწილონ ქალაქის შემოსავალი ყველა უბანთა შორის; 3) მეტი ყურადღება მიაქციონ ღარიბთა და სნეულთ; 4) ყოველი ხმოსანი კანონის მოთხოვნილებას უნდა ემორჩილებოდეს და ესწრებოდეს საბჭოს კრებას; 5) თანასწორად იხარჯებოდეს ფული ყოველ ქუ-

ჩის სისუფთავისა და განათებისათვის; 6) მეტი მზრუნველობა იქონიონ სწავლა-განათლების გავრცელებისათვის; 7) შეერთებულ კრებამდე ხმოსნებმა უნდა შეისწავლონ ამომრჩეველთა აზრი არჩევნების შესახებ; 8) მზრუნველობა გასწიონ გამგეობისა და სხვა დაწესებულებათა კარგად მოწყობისათვის; 9) განსაკუთრებული მზრუნველობა იქონიონ ქალაქის განაპირა უბნებისა და მათ საჭიროებათათვის; 10) შემუშავება იმ ღონისძიებათა, რომელნიც მიღებულ უნდა იქმნას იმ ხმოსანთა წინააღმდეგ, რომელნიც პროგრამას გადუხვევენ და 11) ქალაქის მოხელეთათვის დაარსება საპენსიო კასისა.

კრებამ ამოირჩია გამგე კომიტეტის წევრებად: ყარა-მურზა, ბოღდანოვი, ევანგულოვი, ხატისოვი, ვექილოვი, სარაჯოვი, გულისაშვილი, ჩარკვიანი, აბრამიანცი, გრიქუროვი, ფანიაშვილი, კაზაჯოვი, შარიფოვი, მაიერი, ჯამასპიშვილი, ბაბოვი, მელიქ-ყარაკოზოვი და კაპრანოვი. კრებამ შეიმუშავა აგრეთვე გამგე კომიტეტის წევრთათვის ინსტრუქცია და დაავალა: 1) კრების დანიშვნა, 2) ხმოსნებისათვის პროგრამის შემუშავება, 3) შედგენა კანდიდატების სიისა შემდეგ შეერთებულ კრებისათვის წარსადგენად.

კრება გათავდა 2 საათზე.

ტფილისის საურთიერთო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა მორიგი წლიური კრება.

კვირას, 24 მარტს, სამეურნეო ბანკის შენობაში, დილის 12 საათზე, თ-დ ბ. ო. ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით შესდგა მორიგი წლიური კრება სამეურნეო ბანკის საზოგადოებისა. კრებას მოხსენდა ანგარიში 1901 წ., რომლიდგანაც სჩანს, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში ბანკს მოჰმატებია 49 ახალი წევრი; ასე რომ 1902 წლისათვის სამეურნეო ბანკში ყოფილა წევრად 817 კაცი, რომელთაგანაც სამოქმედო თანხად შეტანილია 87,112 მან. და რომელნიც პასუხს აგებენ 783,918 მანეთით.

საანგარიშო წელს ბანკს დაუტრიალებია სულ 9.241,416 მ. 60 კ., წინა წელზე 2.001,186 მ. 50 კაპ-ით მეტი.

მიმდინარე ანგარიშზე საანგარიშო წელს ბანკში შეუტანიათ 637,474 მან. 34 კ., გაუტანიათ 571,605 მ. 89 კაპ., სულ მიმდინარე ანგარიშისა ბანკს, 1900 წელთან შედარებით, 227,264 მანეთით მეტი დაუტრიალებია.

საანგარიშო წელს ბანკისთვის მიუბარებიათ: უვადოდ—30,094 მანეთი, ვადით—160,079 მან., სულ ბანკისთვის საანგარიშო წელს 29,931 მანეთით მეტი მიუბარებიათ, ვიდრე წინა წელს.

1901 წ. ბანკს გაუნაღდებია 1811 ვექსილი 565,780 მანეთისა, ბანკს სარგებელი ჰრგებია 27,218 მანეთი. წინა წელთან შედარებით ბანკს თამასუქი გაუნაღდებია 31,810 მ. მეტი; სარგებელი ულია წინანდელებრ $9^1/_2{}^0/_0$. პროტესტში წასულა 5,135 მანეთის ვექსილი.

საანგარიშო წელს ბანკს გაუცია სესხი: 1) სარგებლიან ქაღალდების გირაოთი 59 სესხი 64,444 მანეთისა; წინა წელზე ნაკლები 4,424 მანეთით. 2) საქონლის გირაოთი 13 სესხი 41,851 მანეთისა; წინა წელზე 30,754 მანეთით მეტი. 3) სამეურნეო ნაწარმოების გირაოთი 11 სესხი 9,475 მანეთისა, წინა წელზე 831 მანეთით ნაკლები. სულ ბანკს საანგარიშო წელს მიუღია სხვა-და-სხვა სარგებელი—35,587 მ. 24 კ.; წმინდა მოგებაკი დარჩენია 8,719 მ. 77 კ.; თითო წევრს თითო ას მანეთზე ერგება დივიდენდათ 8 მ. 15 კ.

შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენება სარევიზიო კომისიისა. მოხსენებაში 12 შენიშვნა იყო სხვა-და-სხვა წვრილმან უწეს-რიგობის შესახებ. ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრებამ შეიწყნარა მხოლოდ პირველი მუხლი მოხსენებისა, სახელდობრ, ის მუხლი, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ძირითად თანხას უნდა მოაკლდეს ის ფული, რომელიც მოუთხოვია უკან წევრს, 6 თვისა და 10 დღის შემდეგაო. ამ ფულზედ ბანკმა აღარც გადასახადი უნდა შეიტანოს ხაზინაშიო. პასუხის გებაც იმ წევრისა თავდება, როცა გავა ეს ვადა და თავისი ფულიც უკანვე უნდა დაუბრუნდეს, თუ რამ ვალი არ ადევს ბანკისა და ზარალიც არ არის მოსალოდნელი იმ წელსაო.

კრება გადაიდო საღამოსათვის. საღამოს კრებაზედ ხანგრძლივი ლაპარაკი გამოიწვია იმან, თუ როგორ გაძლიერდეს ოპერაციები სესხის გაცემისა მოსავლის დაგირავებით. კომისიამ, რომელიც არჩეული იყო ამ საგნის შესახებ პროექტის შესამუშავებლად, არ წარმოადგინა თავისი მოხსენება. კომისია ამტკიცებდა, რომ საბჭომა და გამგეობამ ხელი არ შეგვიწყო ამ საქმეში, არ მოინდომა ჩვენთან ერთად მუშაობა ამ პროექტის შესადგენადაო.

კრებამ დაადგინა ბ-ნ ი. ქუთათელაძის მიერ შედგენილი პროექტი ამ საგნის შესახებ განიხილოს საბჭომა და გამგეობამ, შეასწოროს, შეავსოს და წარმოუდგინონ შემდეგს კრებას, ან არა-და მოიწვიონ საგანგებო კრება და იმას წარუდგინონ განსახილველად და დასამტკიცებლადაო.

ბოლოს განიხილეს წინადადება გრ. შაჰბუდაღოვისა სათადარიგო თანხის დაარსების შესახებ. კრებამ უარ-ჰყო ეს აზრი.

შემდეგ კრებამ დაამტკიცა სავარაუდო შემოსავლისა და ხარჯის აღრიცხვა 1902 წლისათვის. გამგეობის წევრთ დაენიშნათ თითოს 2,400 მან. 1,800 მან. მაგიერ.

დასასრულ დაიწყეს არჩევანები. გამგეობის თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ისევ ბ-ნი გ. ს. განძიელი, საბჭოს წევრად ისევ თ. ნ. ბ. ერისთავი. სარევიზიო კომისიის წევრებად იქმნენ არჩეულნი: ბ-ნნი ე. თაყაიშვილი, გ. ჟურული და თ. ი. გ. ბარათაშვილი.

წერილი ქუთაისიდგან.

(შავი-ქვის საქმეები)

20 მარტს, ქუთაისში თავი მოიყარა მარგანეცის მრეწველთა საგანგებო კრებამ, რომელიც ამ ხანად მთავრობის მიერ იყო დანიშნული. საგნები კრებისა სულ მარტივი, არა თავსამტვრევი იყო. პირველი—მთავრობა თხოულობდა ქუთაისის გუბ. საფაბრიკო საქმეთა საკრებულოში მარგანეცის მრეწველთ აერჩიათ ორი წარმომადგენელი და მეორეც, ამაზე „სიეზდის რჩევას" დაემატებია ბრაზილიაში შავი-ქვის მრეწველობის გამოსაკვლევად მცოდნე კაცის გასაგზავნად ხარჯის გაღების საგანი.

როგორც მკითხველიც ჰხედავს, ორივე საგანი ისე იყო მოწყობილი, რომ კრებისაგან პრინციპიალურ განსჯას არ მოითხოვდა. მომწოდებელთ მხოლოდ აზრად ჰქონიათ ამ საგნების გადაწყვეტა-დაკანონება. „Экстренно"-თ თავ-მოყრილი შავი-ქვის მწარმოებელნი სურდათ ისევე „Экстренно"-თ გაებრუნებინათ შინ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა: განა, ქუთაისის კენჭობია ვისსამე ასეთ გულუბრყვილო წინასწარ განზრახულებას ემორჩილება და ასე ადვილად თავიდგან მოსაშორებელია?! კენჭობიაზე მიმდგარი საკითხი აქ ყოველთვის დიდს მღელვარებას, მიხლა-მოხლას, ნერვების აშლილობას იწვევს ხოლმე და, თუ საქმეში კალისტრატეც გაერია, მაშინ ხომ აღგზნებულ ცეცხლს ნავთი ესხმის. ქუთათურთა ამგვარ ცხოვრების კანონს ვერ ასცდა ახლანდელი 20 მარტის კრებაც.

ჩვეულებრივ შავი-ქვის მრეწველთა კრებას ჰთავმჯდომარეობს მთავრობისაგან დანიშნული მოხელე და 20 მარ. კრებასაც ქუთ. გუბ. კარგად ცნობილი სამთო-მადნო ინჟენერი ცეიტლინი ჰხელმძღვანელობდა. თავმჯდომარემ კრების დაწყებამდევე განაცხადა, რომ ახლა რწმუნების ქაღალდებს აღარ მივიღებ, რადგან არ მცალიანო. ამან, სხვათა შორის, თ-დ კიტა აბაშიძის მხრივ პროტესტი გამოიწვია და იძულებულ-ჰყო თავმჯდომარე ჩაეწერა რწმუნებულნი კრებაზე დამსწრეთა სიაში. ბოლოს გაჯავრებით იკითხა: გათავდა თუ არა რწმუნებულთა ქაღალდებიო და, როცა მიიღო პასუხი—კიო,—ამოიოხრა: слава Богу-ო და განაცხადა: ახლა-კი ვიწყებ კრებასო.

გამოცხადდა თუ არა საკითხი ბრაზილიაში კაცის გაგზავნის შესახებ—ი. კაკაბაძემ იკითხა, რა საჭიროებამ გამოიწვია ბრაზილიის შავიქვის მდგომარეობის ჩვენგან გამოკვლევა, შეიძლება დღევანდელ მისს ბაზარზე ჰარბობას, ჩვენის ქვის კონკურენციის დროებითი გარემოებანი, მაგ. აფრიკა - ამერიკის ომები უწყობს ხელს და ამიტომ ეს გარემოება წარმავალი იყოსო. საბჭოს თავმჯდომარემ გ. ზდანოვიჩმა განმარტა, რომ ის სტატისტიკური ცნობანი, რომელნიც ჩვენ ხელთ გვაქვს (თუმცა მათ სინამდვილეს ვერ გითავმდებებთო) გვიჩვენებს, რომ ბრაზილიის შავი ქვა ბაზარში დღითი-დღე მატულობს და, თუმცა ის ქვა ჩვენსაზე ძვირად იყიდება, მაინც კიდევ კონკურენციას გვიწევს ევროპაშიო. აი, ამ გარემოების გამოსარკვევად დღეს საჭიროდ ვსცანით გავგზავნოთ იქ კაცი და გავიგოთ, როგორც იქაურ ბაზრის ვითარება, ისე მარგანეცის ტეხნიკურად წარმოების საქმე, რომ მის შესაფერად მოვაწყოთ ჩვენის ქვის წარმოებისა და გასაღების საქმეცაო.

კარგა ხანგრძლივის კამათის შემდეგ, ყველანი შეთანხმდნენ კაცის გაგზავნაზე და გადვიდნენ თვით წამსვლელის ამორჩევაზე. აქ-კი, გარდა იმისა, რომ თავმჯდომარემ გამოაცხადა, მე არ შემიძლიან ამის ნება მოგცეთ, რადგან განსახილველ საგანთა სიაში მოხსენებული არ არისო,—კრებაზე დამსწრენი ორ ბანაკად დაიყვნენ: ერთს, კრების წევრთა დიდძალ უმეტესობას, სურდა კრებაზედვე ამორჩეულიყო კაცი, ხოლო უმცირესობას (ექსპორტიორები) და საბჭოს წარმომადგენლებს არ უნდოდათ კრებაზე აერჩიათ გასაგზავნი კაცი. თავიანთ თავმჯდომარის პირით ამბობდნენ, თუ მაინცა და მაინც გსურთ კრებამ დაასახელოს თავისი კანდიდატი, საბჭო სახეში იქონიებს ამ დასახელებულ კანდიდატსაო. მაგრამ კრება „სახეში ყოლას" არ დასჯერდა და ამბობდა: თუ ფულის გაღებისათვის დაგვიძახეთ, კაცის ამორჩევის უფლებას რატომ-ღა გვართმევთო.

კანონის მტკიცედ შემსრულებელი თავმჯდომარე-კი მაინც თავისას ამბობდა: მინისტრის ტელეგრამაში ამორჩევაზე არა არის-რა ნათქვამი და მეც ამის ნებას ვერ მოგცემთო. მაშ, ახალის ტელეგრამით სთხოვეთ მინისტრს ამის ნებაო, უპასუხეს, მაგრამ ამაზედაც მტკიცე უარი სთქვა და უთხრა კრებას: я не могу срочную телеграмму послать министру-ო და აღელვებულთა დასამშვიდებლად перерывъ-ებს მიჰმართავდა ხოლმე. ამ „перерывъ"-ების წყალობით-კი თავმჯდომარეს თავისს დაჟინებაზედ უარი ათქმევინეს და საკითხის გადაწყვეტა „სიეზდის საბჭოში" შეიტანეს, რომელსაც კრების რამდენიმე წარმომადგენელიც დაესწრო.

ხმის უმეტესობით (7—3) კრების სასურველი კანდიდატი (გ. დეკანოზიშვილი) აირჩიეს ბრაზილიაში გასაგზავნად. ეს მოხდა თეატრის ზალაში ფარდის უკან, ხოლო ფარდის ახდის შემდეგ კენჭი უყარეს წამსვლელისათვის ხარჯის გაღების საკითხს და გადასწყვიტეს (41—22 წინააღმდეგ) 5,000 მან. დახარჯვა. ასე და ამნაირად შეისრულა თავისი სურვილი კრებამ, გაითეთრა, ემერიკის სიტყვით, მის მიერ „излюбленый" კანდიდატი, რომელიც, იმედი აქვთ, შესაფერისად შეასრულებს თავისს არა საადვილო მოვალეობას და გააცნობს კავკასიის შავი ქვის მწარმოებლებს ამერიკის მეტოქეობის მდგომარეობას.

საფაბრიკო საქმეთა საკრებულოსათვის-კი კრებამ ერთხმად ამოირჩია „საბჭოს„ თავმჯდომარე გიორგი ზდანოვიჩი და თ-დი კიტა აბაშიძე, რომელთაც ვუსურვებთ, რომ ახალის ენერგიით შესდგომოდნენ ამ ახალ საქმეს ჩვენის ცხოვრებისას.

20 მარტის კრებაც ვერ გათავდა ,,უსკანდალოთ''. ეს ,,სკანდალი''-კი გამოიწვია მსხვილ მწარმოებელის ემერიკის მკვახე სიტყვამ, რომლითაც მან მიჰმართა კრების წევრთ, როცა წევრნი თავიანთ უფლების დაცვა და თავიანთ კანდიდატის არჩევა მოინდომეს. მისს ვიღაცეებისადმი ზიზღით სავსე გაბედულ სიტყვას, რომლის წარმოთქმას ასე გულ-გრილად უყურებდა როგორც თავმჯდომარე, ისე საბჭო, რაღაც ძველ ანგარიშების გასასწორებელი სარჩული ედვა და ეს სარჩული იყო მისი შარშანწინდელ კრებაზე ,,ოპოზიციიდგან'' გამოთიშვა. თავმჯდომარე იმდენად თავისს ადგილის შეუფერებელი ხელმძღვანელი აღმოჩნდა, რომ ამ კრების შეურაცხმყოფელ ინციდენტის გამორკვევის მაგიერ წევრების თხოვნაზე სულ იმას გაიძახოდა; ,,Прошу замолчать, не перебывайте, не мѣшайте мнѣ, это къ дѣлу совершенно не относится, я прошу относиться къ дѣлу здраво''...

სამსახურის კაცი ვარ, სამსახურში მიმეჩქარებაო, გაიძახოდა იგი კრებაზე და აბა, ამისთანა თავმჯდომარე რას დაგიდევდათ კრების შეურაცხყოფას. საღამოს, კრების დასასრულ, მთელის 5 წუთის განმავლობაში აღელვებული ითხოვდა უმრავლესობა ემერიკს უკან წაეღო თავისი სიტყვები და ბოდიში მოეხადნა კრების წინაშე იმის გალანძღვისათვის, მაგრამ თავმჯდომარემ კრინტიც არ დასძრა შეურაცხყოფილ კრების სასარგებლოდ და, პირ-იქით, გაიძახოდა: „это къ дѣлу не относится"-ო და მის და ზოგიერთების ქომაგობით გადიდგულებულმა ემერიკმაც დასძინა: მე არა თუ ბოდიშს მოვიხდი, პირ-იქით, დარწმუნებით გაგიმეორებთ იმას, რაც გითხარითო და ამაყად ავიდა სცენაზე, პირველმა მოაწერა ოქმს ხელი და მედიდურად შემოუჯდა კრების ხელმძღვანელთა მწვანე მაუდიან მაგიდას.

ისო.

წერილი ზემო-სვანეთიდგან.

უწყიან, უთუოდ, მკითხველებმა ვინაობა და სადაობა ზემო-სვანეთისა, საქართველოს ერთის კუთხისა, დასავლეთ-ჩრდილოეთით მდებარისა. ეს კუთხე შეზღუდულია მუდმივის მყინვარის მთებით, რომელთაც ინგური ჩამოუდის და გაღმა-გამოღმა სოფლებია დაფენილი. არც ერთი ქაზრა და სოფელი არ არის უმახლობელეს სამისა და ოთხის დღის სავალისა სვანეთზე. ზემო-სვანეთი ეკუთვნის ლეჩხუმის მაზრას, მაგრამ რვა თვის განმავლობაში ყოველივე უშიშარი მიმოსვლა და კავშირი ლეჩხუმთან სწყდება უგზოობისა გამო.

დიდს გაჭირვებასა და განსაცდელში ვართ აქაურნი მკვიდრნი უგზოობის გამო, ვით პატიმარი არსაით მომლოდნე მწეობისა. შუა ოქტომბრიდგან ივნისის შუამდე ჩაკეტილნი ვართ; ხოლო აუცილებელის საჭიროებით იძულებულნი მგზავრნი, რასაკვირველია, ქვეითნი, ხშირად ხდებიან მსხვერპლნი კლდეთა და ღრეთა; უმეტეს ნაწილ ისენი, რომელთაც ხელ-მოკლეობა აიძულებს წავიდეს სვანეთს გარეთ სამუშაოდ და თავის ნაშოვარით ასაზრდოვოს ოჯახი. აქაც უბედურება,—შველის მაგიერ მთლად ბოლო ედება ისედაც დამშეულს ოჯახს: ერთად-ერთი ოჯახის იმედი ლეხერაში მგზავრობის დროს კლდეზე გადავარდა, ან ლეჩხუმს მიდიოდა და მუშურზე შავმა წაიღო. ნეტავი ძვალი მაინც ეპოვნათ მამა-პაპეულის მიწისთვის ჩასაბარებლად! და ასე, როგორც დღეს ღამე მოსდევს, თვეში ერთხელ ზემო ხსენებული შემთხვევა ხდება.

ნუ-თუ გგონიათ, სვანები ყოველთვის ამ მდგომარეობაში იყვნენ, ან პატრონი არ ჰყავდათ? შეიძლება ისეც იფიქროთ, ვითომც ამ მხარეს გზა არსით მოეგვარება, ან არასოდეს არ ჰქონია. ამის პასუხი ჩვენს მატიანეში მოიპოვება: რაჭიდგან უშგულამდე (სოფელია ზემო-სვანეთში) სამარხილე და საურმე გზა ყოფილა, რომლითაც რუსუდან დედოფალი შემოვიდა სვანეთში და ამას გვიმტკიცებს ერთი მისი თანამედროვე მწერალი. „რუსუდან*) 1225 წ. შეიხიზნა სვანეთშიო, სანამ ხვარაზმელი სულთანი ჯელალედდინი საქართველოში მძვინვარებდაო (Исторія Монголовъ, выпускъ II—стр. 61-62. Изд. К. П. Патканова). ამავე გზით დადიოდა ბაგრატ V (1360—1395 წ.) (ვახუშტის ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა. გვერ. 281). მაშ სჩანს, სვანებს ჰქონიათ ერთ დროს გზა, ეხლა-კი... ეხლა-კი რადგანაც ვიწრო და დასუსტებული სვანეთის მიწა ვეღარ აკმაყოფილებს გამრავლებულის ხალხის სხვა-და-სხვა გაზვიადებულს მოთხოვნილებას, გზის საჭიროება უფრო და უფრო საგრძნობელი ხდება.

ამ სამიოდე წლის წინად დიდად მოხარულნი ვიყავით, რადგან გავიგეთ, რომ მთავრობამ ორმოცი ათასი მანეთი, თუ მეტიც, გადასდო სვანეთის გზებისათვისო, სახალხო სამკურნალოსაც აგვიშენებენო, ექიმი და მსაჯულიც მუდმივი გვეყოლებაო. მაგრამ ვერაფერს მაგას დღემდისაც ვერ მოვსწრებივართ. ამნაირად სამკურნალო საშუალებასაც

---

*) ზეპირ-გადმოცემით სვანები ამტკიცებენ, რომ რუსუდანი-კი არა, თამარ მეფე იყოო, რომლის სადიდებელი შაირიც შეთხზული აქვსთ სასიმღეროდ.

ფელეტონი

გრაფი ტოტლებენი

და

მისი ადვოკატი ბ-ნ ლინდა*)

წელიწად-ნახევარი დაჰყო საქართველოში ტოტლებენმა. მერე-და, რა ნაყოფი გამოიღო მისმა მოღვაწეობამ? არაფერი. მაგრამ ეს სიტყვა სუსტია და სავსებით ვერ აღნიშნავს ტოტლებენის ღვაწლს, რადგან გრაფის აქ ყოფნა ერთი რაღაც ბეწვარ-აღებული უბედურება იყო და, სარგებლობის მაგიერ, კინაღამ დაჰღუპა ერეკლე და მისი სამეფო. ზარალი ჰნახა აგრეთვე იმპერატრიცა ეკატირინემ, რუსეთმა და თვით ტოტლებენის ხელქვეითმა კორპუსმა. გრაფს ცოტა ჯარი არა ჰყოლია. ტომსკის პოლკი რომ მოუვიდა და პოდპოლკოვნიკმა თ. რატიშვილმა არტილერია რომ გადმოიყვანა, ტოტლებენს თითქმის ოთხი ათასი ჯარის-კაცი გაუხდა კორპუსში. მაშინდელ დროის მიხედვით, ეს მცირე ჯარი არ იყო.

დაწვრილებით განხილვა იმ ზარალისა და უბედურებისა, რაც ერეკლეს და სოლომონს ტოტლებენმა მიაყენა, არ შეადგენს ამ წერილის საგანს**); განმეორებით ვიტყვით აქ მოკლედ, რომ ერეკლეს დახმარება არ აღმოუჩინა ოსმალებთან ბრძოლის დროს, თუმცა მხოლოდ მარტო ამ დახმარებისათვის იყო გამოგზავნილი. დახმარების მაგიერ მარტოდმარტო დასტოვა ერეკლე აწყურთან და თვითონ მხედრობით უკან გამოიქცა. მარტოდ დატოვებული ერეკლე მხოლოდ თვისის მხედრობით ძლია ოსმალოსა და ლეკის ჯარსა ს. ასპინძასთან. ღმერთმა ინება და ერეკლემ გაიმარჯვა (თვით ერეკლე ასე ხსნის თვისს გამარჯვებას) უტოტლებენოთაც. ხომ შესაძლებელი იყო, რომ საქმე სხვანაირად დატრიალებულიყო?! იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ მეფე ერეკლე დღე და ღამ იმის ფიქრში იყო, როგორ დაებრუნებინა მესხეთი[33]), ეს დიდებული ნაწილი საქართველოსი, ეს აკვანი ქართველთ მწიგნობრობისა და ღვთის მეტყველებისა, კუთხე, რომლის შემწეობითაც საქართველო ევროპას უახლოვდებოდა. რუსეთის დახმარებით, ერეკლე ჰფიქრობდა ეს სანუკვარი ფიქრი განეხორციელებინა; ამისათვის სიხარულით მიიღო ეკატირინეს მოწოდება და აეშალა ოსმალეთს, რომელთანაც მშვიდობიანად სცხოვრებდა. ტოტლებენს რომ არ ეღალატნა ერეკლესათვის, ჩვენი გმირი მეფე თავისს საწადელს აისრულებდა. აწყვერთან ოსმალონი რიგიანად შებერტყა, ასპინძასთან ოსმალ-ლეკნი სულ ამოჟლიტა, აქედგან ავიდოდა ხერთვისსა და ახალ-ქალაქს; ამ ციხეებსაც შემუსრავდა და შემდეგ, უეჭველია, ახალციხესაც აიღებდა, რადგან ახალციხეს მეციხოვნეთა ჯარის რიცხვი მცირე იყო. ამ გვარად ერეკლე დიდად გაიმარჯვებდა, საქართველოს საუკეთესო ნაწილს საქართველოსვე დაუბრუნებდა, ტანჯული ქართველობა მესხეთჯავახეთისა თავისუფლად ამოისუნთქავდა, გათამამდებოდა, თვითონაც, გაძლიერდებოდა და ერეკლესაც გააძლიერებდა*).

ერეკლეს რომ გაემარჯვა რუსის მხედრობის დახმარებით, სამი უდიდესი საქმე გაკეთდებოდა კიდევ. პირველი: ახალციხე ბუდე იყო დაღესტნის ლეკებისა. აქვე იკრიფებოდა თავზე ხელ-აღებული და ავაზაკი აჭარელი და ლაზი. ახალციხის ფაშა უხვს მასპინძლობას უწევდა დაღესტანის მტაცებელ, მოთარეშე ბრბოთ და ბედის მაძიებელ აჭარელსა და ლაზებსა; აქედან უსისიანებდა ლეკებს ქართლსა და ხანდისხან იმერეთსაც და აწიოკებდა ქვეყანას. ისე არას დაუძაბუნებია ქართლ-კახეთი, როგორც ამ წუნკალთა წვრილ-წვრილ შემოსევას. ქვეყანა აოხრებული იყო მათგან და მოსვენებას არავის აძლევდნენ. ახალციხე რომ აეღო, და აიღებდა კიდეც, ტოტლებენს რომ არ ეღალატნა, ეს საშინელი ბუნაგი ლეკებისა და სხვა ავაზაკთა მოისპობოდა სამუდამოდ, ქართლ-იმერეთი შეისვენებდა, მოღონიერდებოდა, წელში გასწორდებოდა და, ვინ იცის, ეგებ აღა-მაჰმად-ხანსაც ვეღარ გაებედნა 1795 წ. ტფილისის აოხრება, რომელსაც აუარებელი უბედურება მოჰყვა ქართლისათვის და სრულიად საქართველოსთვის.

მეორე დიდი საქმე ის იქნებოდა, რომ ახალციხის დაკარგვის შემდეგ ოსმალონი იმერეთში ვეღარ იპარპაშებდნენ, რადგან ახალციხე სამართლიანად ითვლებოდა იმერეთის კარის გასაღებად. ზეკარის ქედით ოსმალონი გადადიოდნენ იმერეთს და საქმეს უჭირვებდნენ მეფე სოლომონს. ეს გასაღები რომ ხელთ ჩაეგდო ერეკლეს, მხნე სოლომონი ორ-სამ წელიწადს სულ ამოსწყვეტდა ოსმალოებს იმერეთში და მათს სინსილას გააქრობდა. ჯერ როცა ახალციხე ხელში ჰქონდა ოსმალოს, მაშინაც-კი გამარჯვებით იბრძოდა სოლომონი თექვსმეტი წელიწადი და, რაკი ახალციხეს ხელიდგან გამოჰგლეჯდა ოსმალეთს ერეკლე, სოლომონის სრული გაბატონება იმერეთში და შინაურ ბილწის მტრების სავსებით განადგურება და შემუსვრა ყოველ ეჭვს გარეშე უნდა ყოფილიყო. ტოტლებენის ღალატმა ეს მეორე დიდი უბედურებაც მოიტანა.

მესამე უფრო დიდი და საყურადღებო საქმე შემდეგია. ტოტლებენის აქ გამოგზავნას და ქართველ მეფეთა მოწოდებას ეკატირინეს მიერ—აღსდეგით და შეებრძოლეთ საქრისტიანოს მტერსაო, ის აზრი ჰქონდა, რომ ოსმალეთისთვის ზურგს უკან მტერი გაეჩინათ. ტოტლებენს რომ არ ეღალატნა, ერეკლე არტაან-აჭარამდე კაი მოზრდილ პროვინციას წაართმევდა ოსმალეთს; შესაძლებელია, ერეკლე ყარსისაკენაც წასულიყო და ეს ქვეყანაც ხელთ ეგდო. ოსმალეთს გააძევებდა აგრეთვე სოლომონი იმერეთიდგან და აჭარამდისინ მივიდოდა. ასე რომ აქედგანაც დიდ ზარალს ჰნახავდა ოსმალეთი. მაშასადამე, იმპერატრიცა ეკატერინეს სურვილი და განზრახვა სავსებით აღსრულდებოდა. მოხდებოდა სწორედ ისე, რასაც მოელოდნენ, ე. ი. რუსის მცირე მხედრობა ქართველების შემწეობით მოახდენდა იმ დიდ „დივერსიას", რისთვისაც ტოტლებენი აქ გამოგზავნეს. ასეთის შედეგით ქართველებიც კმაყოფილნი

---

*) იხ. „ივერია", № 65.

**) ცალკე მონოგრაფიას ვამზადებთ, სადაც ტოტლებენს სავსებით დავასურათებთ.

[33]) იხ. „Присоединеніе"... გვ. 108.

*) ხერთვისის მაგარი ციხე მართლაც დაიპყრო ერეკლემ 1771 წ. და თვისი მეციხოვნენი ჩააყენა. ხერთვისის შერჩენა ლვოვმა არ ინება და სთქვა: „რომელ ესე საქმე ერთგულებად რუსეთის ხელმწიფისად კმა არსო და ციხეში მცველთ-კი ნუღარ შეაყენებო; ამისთვის, რომელ არამც ხონთქრის ძალი მოვიდეს და ეს ციხე რომ ძალად აგვართვან, სირცხვილი არისო". 1772 წ. ამავე ლვოვმა უთხრა ირაკლის: „ერთხელ კვალად დაჰკარ ხონთქრის მამულსაო, რომელ შენს ერთგულებაზედ გული დააჯეროსო", ე. ი. იმპერატრიცა ეკატირინემ იწამოს, რომ ერთგული ხარ და ტოტლებენი მტყუანი, რომელმაც ღალატი დასწამა ირაკლის. მეფემ სოლომონიც მოიწვია და მიადგნენ ახალქალაქს ჯავახეთში. „ციხე ძლიერად შეაჭირვეს, კინაღა აღებადმდე". სოლომონი საოფლით ავად გახდა, იმერნი წამოვიდნენ და ერეკლემაც ალყა ახსნა. იხ. „ქ. ც.", ნაწილი II, 493. აქედგან სჩანს, რომ მეფე ერეკლე დიპლომატიის მორჩილ ყმად გახდარა. ეს საგანი რიგიანად აქვს შემუშავებული ზ. ავალიშვილს.

მოკლებულნი ვართ. ექიმი აქ მოდის ივლისის პირველს რიცხვებში და რჩება სექტემბრის ათამდე, როდესაც კარგის ჰაერის გამო არავითარი ექიმის მოწვევა არ არის საჭირო. მაშინ-კი, როდესაც ხალხი გაციებისაგან, ან სხვა რაიმე სენისაგან იხოცება, უშემწეოდა ვართ.

სვანეთის ცხოვრებას მოღიმარე მხარეცა აქვს. ეს არის სწავლა-განათლება, რომლის საძირკველიც მართლა და მშვენივრად არის დაწყებული. აქ დაარსდა შვიდი სკოლა ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა, რომლებმაც მსწრაფლ მიიზიდა ხალხი. მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ამ სკოლებში, სხვათა შორის, ქართულსაცა აქვს ყურადღება მიქცეული, რადგანაც საზოგადოდ ხალხი ძლიერ მონდომილია შეისწავლოს ქართული წერა-კითხვა. მარტო ეცერის საზოგადოებაში 90 მოწაფეა. ეს ფაქტები სვანეთში კარგს შედეგს მოასწავებს. არა-თუ მარტო შვილების სწავლას სცდილობენ მშობლები, თვითონაც არიან მსურველნი ქართულის წერა-კითხვის შესწავლისა. მაგალითად, ცხუმრის სკოლის მასწავლებელმა ბ. ჩლაიძემ გახსნა საკვირაო სკოლა, რომელშიაც დიდის ხალისით დაიარებიან ხანში შესული კაცებიც და გულს მოდგინეთ სწავლობენ ქართულ წერა-კითხვას.

დიდის მადლობის ღირსნი არიან ზემოხსენებულის საზოგადოების დაწესებულ სკოლების მასწავლებელნი სვანეთში, რადგან გულწრფელად და დაუღალავად ასრულებენ მათს წმინდა მოვალეობას ამ ყოვლის მხრივ შევიწროვებულს ქვეყანაში. ყველა ამ სასურველ მოვლენას ხელს უწყობენ ადგილობრივი თავადები და სამღვდელოება.

ამ ნაირად იმედი გვაქვს, რომ, თუ ამ კეთილი საქმის დამწყებს საზოგადოებას არ მოვეზრდით და ანთებულს პატრუქს ზეთი არ მოაკლო, ამ მხრივ მაინც დავეწიოთ რომელსამე უკან ჩამორჩენილს ერს.

თავ. ლევან ბექ. დადეშქელიანი.

დაბა და სოფელი

სოფ. ტოლა (რაჭის მაზრა). ჩვენს სოფელში, დღემდის კანონის თაყვანისმცემელ ხალხში, ერთი არა ჩვეულებრივი თავდასხმა და ძალადობა მოხდა, რომელმაც მთელი სოფლის ზნეობა-გაურყვნელი და მშვიდობიანის ყოფა-ცხოვრების მოყვარული ხალხი ძალიან ააშფოთა. აი, საქმე რაში მდგომარეობს:

ექვსმა კომლმა დროებით ვალდებულმა გლეხმა გვარად თვარაძეებმა, თავიანთ ნაბატონევის ნებართვით, მათდამი გრამატით ნადელად მიცემულ ადგილში, იქ, სადაც მდინარე ასკი უერთდება რიონს, დასდგეს წისქვილი. იმ ადგილზე თვარაძეებს, როგორც ბატონ-ყმობის დროს და შემდეგაც შემცილე და მოდავე არავინ ჰყოლია, რადგანაც ადგილი დიდის ხნიდან დაყოფილი და დასაზღვრულია სოფლის ჩვეულებისამებრ, მაგრამ ეხლა-კი, ამ ზნეობითა და სინიდისით დაქვეითების ხანაში, შურმა და სიხარბემ აღმოუჩინათ შემცილე და მოდავე, ერთი კომლი ვაგოშიძე და ორი თუ სამი მეკომური სირაძეები. ესენი აუხირდნენ თვარაძეებს, გინდათ თუ არა, თქვენს წისქვილში მონაწილედ შეგვიყვანეთ, თორემ წისქვილს არ გაგაკეთებინებთ, საწისქვილო ადგილში ჩვენც მონაწილენი ვართო. „საიდამ სადაო, წმიდაო საბაო, უპასუხეს თვარაძეებმა, ნახევარი საუკუნე მეტია ამ ადგილზე თქვენი მონაწილეობა არავის გაუგონია და ეხლა რა ხელი გაქვთ ჩვენთანაო?..“

ამ დავამ, რასაკვირველია, მიაღწია პოლიციამდის. 7 მარტს დახვდა საკამათო ადგილს პოლიციის ბოქაული, რომელსაც თან ახლდა ადგილობრივი მამასახლისი. ბ-ნმა ბოქაულმა გამოიკვლია საქმე და რაკი დარწმუნდა, რომ თვარაძეები თავისს ადგილში იდგნენ და სხვისი არა ჰქონდათ-რა მითვისებული, ნება მისცა სამუშაოს დამთავრებისა, ხოლო ვაგოშიძე და სირაძეებს-კი დაითხოვა, რომ ძალმომრეობა არ ეხმარათ-რა და, თუ რამე საჩივლელი ქონდათ სასამართლოსათვის მიემართათ. მაგრამ ვაგოშიძემ და სირაძეებმა პოლიციის მოხელის რჩევა და დარიგება ყურადღებაში არ მიიღეს და უპასუხეს: რადგან თქვენ არ გვაძლევთ სამართალს, ჩვენ თვითონ გავუჩენთ ჩვენს თავს სამართალსაო.

თვარაძეები რაკი დარწმუნდნენ, რომ პოლიციამ დაითხოვა მათი უსაფუძვლოდ მოდავენი, საღამოზე სამუშაო იარაღი წისქვილში შეინახეს და წავიდნენ თავ-თავიანთ სახლებში. მეორე დღეს დილით ადრე ჩავიდნენ თვარაძეები თავიანთ საწისქვილოზე თუ არა, შემდეგი აღმაშფოთებელი სურათი დაუხვდათ: წისქვილის შენობა აღარსად იყო; მთელი შენობა დაერღვიათ და ერთიანად რიონში ჩაეყარათ. ზარ-დაცემული და დაზარალებული გლეხები გაეშურნენ პოლიციის ბოქაულთან და შეატყობინეს ეს ამბავი. ბ-ნი ბოქაული მივიდა და თავისის თვალით ნახა ყველაფერი.—წუხელ ნახულის შენობიდამ—გარდა ერთის დიდის სადარეხისა, რომელსაც ვერ მოჰრეოდნენ ღამის რაინდები,—აღარა დაუხვდა-რა. ბოქაულმა შეადგინა ოქმი ამ საგანზედ და წაბრძანდა თავისს ბინაზე.

დამნაშავენი ძალიან ადვილი აღმოსაჩენნი არიან, მთელმა სოფელმა იცის, ვინც არიან. მაგრამ მათთვის ხელი არავის უხლია... სასურველია ადგილობრივმა პოლიციამ ამ-გვარ შემთხვევაში მეტი ძალა და სიფხიზლე გამოიჩინოს, რომ ამგვარი ბოროტ-მოქმედება აღარ განმეორდეს.

თვარაძეებმა კვლავ დასდგეს წისქვილის სახლი და ეხლა დღე და ღამ ყარაულობენ თავიანთ შენობას, რომ კიდევ არ მოგვეპარნენ და არ გადაგვიყარონ წყალშიო...

მარტმა მოწყალე თვალით გადმოგვხედა,—ეს ერთი კვირაა მშვენიერი ამინდი სდგას, გათბა ჰავა, ფერი იცვალა ბუნებამ, მუშა ხალხი გაება თავისს უღელში. გაჩაღებული მუშაობაა ვენახებისა. თუ მარტმა თავისებურად არ მოგვატყუა, გვგონია დავაღწიეთ თავი სულის შემხუთველს ზამთარს.

ქაიხოსრო გელოვანი.

გუბის-წყლის ქვემო მხარე (ქუთაისის მაზრა). პირველ მარტიდგან შვიდამდის ცუდი ამინდები იდგა: თოვლი, წვიმა და ხან-და-ხან—საშინელი ქარ-ყინვა იყო. მას უკან კარგი ამინდები დაიწყო, თუმცა-კი ხან-და-ხან ქარი ჰქროდა და ამ ბოლო დროს წვიმაც მოვიდა. მუშაობა გაჩაღდა.

დიდი-ჯიხაიშის ქსენონშიც გაცხარებული მუშაობაა. ამ ქსენონს თავისი გულის წადილი შეუსრულდა; ექიმი ბ-ნი ივ. გომართელი მოვიდა. ექიმის მოსვლისათანავე ქსენონს აუარებელი ხალხი მოაწყდა. შეიქმნა რეცეპტების წერა, წამლების მზადება, სოფლებში ექიმის მგზავრობა.

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც სადგურ სამტრედიასა და კოპიტნარს შუა, მდ. გუბის-წყლის მახლობლად, რკინის გზის ბაქანი არსებობს. ამ ბაქანის დაარსება ბ-ნ ნიკო ნიკოლაძის წყალობა იყო. სოფელნი: იანეთი, დიდი-ჯიხაიში, პატარა-ჯიხაიში, ნაწილი ს. ეწერისა და გუბისაც-კი, რომელთა მცხოვრებთა რიცხვი, კომლობითაც რომ ვიანგარიშოთ, 2800 კომლს აღემატება, ამ ბაქანს აწყდება, რადგან ეს ადგილი სხვა სადგურებზე მეტად ეახლოვებათ.

დიდი საჭიროება მოითხოვს, რომ აქ ბაქანის მაგივრად სადგური დაარსებოდეს. ყოველ-გვარი მოსავალი: სიმინდი, ხილი, აბრეშუმის პარკი და სხვა, ჩამოთვლილ სოფლებს სად. სამტრედიასა და კოპიტნარს მიაქვთ გასაგზავნად, ანუ იქვე გასასყიდლად. ეს სადგურები არა ნაკლებ 7—10 ვერსისა არის მათზე დაშორებული. მთელი დღე სცდებიან ხარ-ურმით. საქონელიც ხშირად ამდენ თრევაში უფუჭდებათ და მოგება დიდი არაფერი რჩებათ. ამ გარემოებით ხალხი ძლიერ შეწუხებულია. შარშან ს. იანეთმა განაჩენიც-კი დაადგინა, რომ თუ მთავრობა არსებულ ბაქანს სადგურად გადააკეთებს, სოფელი ამ საქმისთვის ხაზინას ორ ქცევა მიწას შესწირავს და უფასოდ მუშაობითაც შემწეობას მისცემსო. დიდმა ჯიხაიშმაც საჭიროება ამ საქმისა აცნობა მთავრობას და ამ საქმის წარმოება დიდი ჯიხაიშის მცხოვრებს ბ-ნ ქ. დ. ლორთქიფანიძეს მიანდო, ქუთაისის მაზრის უფროსმა თ. დადეშქელიანმა თავისი მოსაზრებანი, რომ მართლაც აღნიშნულ ადგილს სადგურია საჭირო, გუბერნატორს წარუდგინა. საქმე წარმოებაშია. ხალხი მოუთმენლად მოელის სადგურის დაწყებას და ამბობს: «ნეტავი თუ მოვესწრებით, აქ სადგური არსებობდესო». აგერ ეს ერთი ხანია, რაც ეწერის საზოგადოებას შესამჩნევი წინ-მსვლელობა დაეტყო, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აწი უფრო მეტს ენერგიას გამოიჩენს ყოველ კარგ საქმეში. ეს საზოგადოება სწავლა-განათლების სიყვარულს თან-და-თან იორკეცებს და არსებულ თითო-კლასიან სასწავლებლების მაგივრად მალე ორი ორ-კლასიანი სასწავლებელი ექნებათ.

გზებიც აქ კარგია მეტად. უბრალო ქუჩას ვერ ჰნახავთ, ნამეტურ სოფ. იანეთში, რომ ქვიშით არ იყოს მოტკეპნილი და სადაც-კი გაფუჭდება, დაუყოვნებლივ კეთდება.

საზოგადოდ მოსავალი აქ არ არის ცუდი, თუმცა-კი სიმინდის მოსავალი ეს ორი წელიწადია ძლიერ დაეცა. ამერიკის ვაზებზედ დამყნას ჩვენებურის ვაზისას აქაურმა ხალხმაც მოჰკიდა ხელი.

ბარნაბა გელა.

რუსეთი

მთავრობას განუზრახავს საფუძვლიანად გადასინჯოს კანონმდებლობა თეატრისა და წარმოდგენების შესახებ. ამისთვის მზადდება დიდი მასალა და არსდება განსაკუთრებული კომისია შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით. ამ კომისიის გარდა დაარსებულ იქნება მცირე, მოსამზადებელი კომისია, რომელმაც უნდა შეაგროვოს მასალები, შეიმუშავოს და შეადგინოს პროექტი უმთავრეს კომისიაში წარსადგენად.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმტკიცებია მოსკოვის მეხანიკურ წარმოების მუშათა საურთიერთო დახმარების საზოგადოების წესდება.

— საიმპერატორო თეატრების გამგეობას განუზრახავს დროგამოშვებითის ჟურნალის გამოცემა შესახებ ხელოვნებისა, თეატრისა, სცენისა და წარმოდგენებისა.

— ოდესის გრადონაჩალნიკის განკარგულებით დაჯარიმებულ იქმნენ ას-ას მანეთით ოდესელი ვაჭარი ბოლგაროვი და რუმინიის ქვეშევრდომი ალექსანდროვი თავიანთ სახლში კრების მოხდენისათვის.

— ხარკოვის გუბერნიაში ძალიან გავრცელებულა სურავანდი (ცინგა); კუპიანის სამაზრო ერობას მიუმართავს ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტისათვის, ხომ არ ისურვებენ უფროს კურსების სტუდენტები ფერშლობასაო.

— სმოლენსკშიაც დაარსებულა მბეჭდავთა (ასოთ-ამწყობთა და სხ.) საურთიერთო დახმარების საზოგადოება. საზოგადოება რამდენიმე თვეა, არსებობს, მაგრამ უკვე დიდი დახმარება აღმოუჩინა ავადმყოფ წევრებს, თუ გარდაცვლილ ასოთ-ამწყობთა ოჯახობას. სიკვდილი ხშირია სმოლენსკის ასოთ-ამწყობთა შორის. მარტო საგუბერნიო გამგეობის სტამბაში ამ უკანასკნელს თვეებში გარდაიცვალა 3 ასოთ-ამწყობი ჭლექისა და ტყვიით მოწამვლისა გამო. საზოგადოების დაარსებას ყველა ასოთ-ამწყობი სიხარულით მიეგება. საზოგადოებას ჰყავს საკუთარი ექიმი, რომელიც უფასოდ ექიმობს წევრებს; ადგილობრივ აფთიაქებში წამალს ფასდაკლებით აძლევენ საზოგადოების წევრებს და ექიმთა სავადმყოფოში-კი სრულიად უფასოდ. საზოგადოებას თავისი წიგნებიცა აქვს და წევრებს შეღავათით აძლევს.

უცხოეთი

ინგლისი. მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ინგლისის საზოგადოებათა პალატამ შეიწყნარა ახალი ბილლი ირლანდიაში ლენდლორდებისაგან მიწა-ადგილის გამოსყიდვის შესახებ. ეს ბილლი რიცხვით მეორმოცეა პარლამენტში შეტანილი ირლანდიის ადგილ-მამულების გამო. რაღა ლაპარაკი უნდა, ახალი ბილლი ისევე ვერაფერს უშველის საადგილ-მამულო საქმის გამწვავებას ირლანდიაში, როგორც წინანდელმა 39 ბილლმა ვერაფერი უშველა. ამას კარგადა ჰგრძნობენ ირლანდიელები და ლიბერალები და კიდეც იმიტომ განაცხადეს მათ, რომ ირლანდიის დაწყნარებას არაფერი ეშველება იმ დრომდე, ვიდრე ადგილები ლორდებისაგან ნება-ყოფლობით-კი არა, ძალით არ იქმნება გამოსყიდულიო. ამას გარდა, დეპუტატმა პილიმ ისიც აღნიშნა, რომ ახალი ბილლი ვერავითარ შემწეობას ვერ გაუწევს მიწა-ადგილებიდგან უკვე აყრილ და განდევნილ ფერმერებსაო.

— ამ ჟამად პარიჟში არიან თურმე მეფე ედუარდის მეგობარი ლორდი როზბერი, ლიბერალთა ლიდერი კემპბელ-ბანერმანი და ლორდი დევონშირი. იქვე არიან ბურთა დელეგატნი ფიშერი, ვესსელსი და ვოლმარანსი და აგრეთვე ელჩი ლეიდსი. ამბობენ, ყველა ესენი შეიკრიბნენ ზავის შესახებ მოსალაპარაკებლადაო. როგორც ფრანგული, ისე ინგლისური გაზეთები სწერენ, რომ ეს პირნი განგებ არიან შეკრებილნი პარიჟშიო.

— სესილ როდსს დაუტოვებია 120 მილიონ მანეთის შეძლება. ეს ამოდენა ქონება როდსს უანდერძნია უმაღლეს სასწავლებლების დასაარსებლად ინგლისსა და ახალშენებში.

საფრანგეთი. ახლოვდება საპარლამენტო არჩევნები და დასებიც მეცადინეობას არა ზოგავენ თავიანთ პროგრამების გამოქვეყნებისა და სიტყვების წარმოთქმისათვის. დეპუტატები უკვე შეუდგნენ აქა-იქ სიტყვების წარმოთქმას. 17 მარტს რემირემონში სიტყვა წარმოსთქვა ეგრეთ წოდებულ „პროგრესისტთა“ მეთაურმა მელინმა. ორატორმა ჯერ გაჰკიცხა ვალდეკ-რუსსოს სამინისტრო, რომელიც, თავის წრეში მილერანის მიღების შემდეგ, ტყვედ ჩაუვარდა სოციალისტებსაო. „უნდა შევნიშნო,—სთქვა მელინმა,—რომ მილერანის წყალობით სამინისტროში დაიბუდა სოციალიზმმა-კი არა, კოლექტივიზმმა, რომელიც საფრანგეთს სოციალურ რევოლიუციამდე მიიყვანს.“ შემდეგ მელინი თავისის დასის პროგრამას შეეხო და სთქვა, რომ ამ პროგრამის პირველ მუხლად ის უნდა იყოს, რომ ყოველივე კავშირი მოესპოთ კოლექტივიზმთან და რესპუბლიკელთა დასის ტრადიციულ პროგრამას დავუბრუნდეთ; ჩვენი პროგრამა თხოულობს სარწმუნოებისა და ასოციაციის თავისუფლებას ყველასათვისო. ამას გარდა, მელინის აზრით, საჭიროა დღევანდელ საპარლამენტო რეჟიმის შეცვლა, რადგანაც ამ რეჟიმის წყალობით პარლამენტის უმრავლესობა უმცირესობას ბატონობსო. მელინი ამას არ ამბობდა წინად, როდესაც მინისტრად იყო და როდესაც უმრავლესობა იმას მხარეს იჭერდა. რეჟიმის შესაცვლელად მელინი საჭიროდ სცნობს დეპუტატთა რიცხვის შემცირებას: დღეს 600 დეპუტატია, უნდა იყოს 400-ო. მელინმა ბევრი ილაპარაკა და ბოლოს მომხრეთამო საპოვებლად ისიცა სთქვა, რომ საჭიროა მუშა კლასის მდგომარეობის განკარგებაო.

ოსმალეთი. ყველა იმიდგან, რასაც დეპეშები და გაზეთები გადმოგვცემენ, აშკარაა, რომ ალბანიაში ნამდვილი რევოლუციაა. „სრული ანარქიაა ამ ჟამად ალბანიაში, სწერენ „Trieste“-ს. ყველგან შეიარაღებული ბრბონი დაძრწიან. უშიშრად გავლა და მგზავრობა აღარავის შეუძლიან. ტელეგრაფი აღარ მოქმედებს, რადგანაც მავთულები დასჭრეს, ჯარი მეამბოხეთა წინააღმდეგ გაგზავნილი, ტყვედ ჩაუვარდა ალბანელთ. მეამბოხეთ დატყვევებული ჯარი მხოლოდ მაშინ გაანთავისუფლეს, როდესაც გუბერნატორმა პირობა მისცა, მთელის ჩემის ჯარით წავალ აქედგანაო, და წავიდა კიდეც. ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებში ყაჩაღობაა. იანინის ვილაეტში მცხოვრებნი დიდად უკმაყოფილონი არიან ადგილობრივ ვალის ოსმან-ფაშისა. გამოცემულ პროკლამაციით მცხოვრებნი თხოულობენ იმის სიკვდილით დასჯას. იანინში ჯარს მთელის წლის განმავლობაში არ მიუღია არც ჯამაგირი და არც ტანისამოსი. აჯანყება საოცარის სისწრაფით ვრცელდება. ფერატისა და პარამიტის ქუჩებში შეტაკებანი მოხდა“.

— როგორც კონსტანტინეპოლიდგან „Berl. Tag.“-ს ატყობინებენ, ამას წინად ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვლილა სტამბოლში ოსმალეთის ტახტის მემკვიდრე პრინცი რეშად ეფენდი, ძმა სულთანისა.

ჩინეთი. ერთი გაზეთი სწერს, რომ ჩინეთს ახალი ხანა დაუდგაო. გაზეთის აზრით, სჩანს ეს, სხვათა შორის, იქიდგან, რომ ჩინეთში გაუქმებულ იქმნა მრავალი ისეთი ტრადიცია და ზნე-ჩვეულება, რომელსაც ჩინეთი საუკუნოებით შეეჩვია. ამას გარდა, რეფორმებს ჩინეთში ყველანი არიან მოწადინებულნი, თვით კარის-კაცნი და უმაღლესი მოხელენიც. ის ჩინელნი, რომელთაც დღემდის მთავრობა სდევნიდა პროგრესიულ აზრების ქადაგებისათვის, უკვე დაბრუნდნენ და უწინდელებრ საქმეს შეუდგნენ. მთავრობა უპირატესობას ეხლა იმ მოხელეებს აძლევს, რომელთაც ევროპიული ენები იციან და ევროპას იცნობენ.

წვრილი ამბები

როგორც უკანასკნელის აღწერით სჩანს, ამერიკის შეერთებულ შტატებში 10.356,664 სული უცხო-ქვეყნელი სცხოვრობს თურმე. აქედგან:

გერმანელი	2,661,990	სულია
ირლანდიელი	1,618,567	,,
ინგლისელი	841,967	,,
კანადელი	785,958	,,
შვედი	573,040	,,
იტალიელი	484,207	,,

იტალიელთა რიცხვი წლითი-წლობით მატულობს, ხოლო გერმანელთა, ირლანდიელთა და ინგლისელთა რიცხვი კლებულობს თურმე.

⁂

წიგნების გამოცემით ყველას გერმანია სჯარბობს. არსად იმდენი წიგნი არ გამოდის, რამდენიც გერმანიაში. 1901 წელს გერმანიაში გამოუ-

---

იქნებოდნენ და ეკატერინე დიდიც. ერთი სიტყვით, ორთავე მოკავშირენი, რუსებიც და ქართველებიც, საქმეს მოიგებდნენ და ერთმანეთს ვეღარას დააყვედრებდნენ. აი, სწორედ მაშინ იტყოდა თამამად პირუთვნელი ისტორიკოსი, რომ მოკავშირეთ ნამუსიანად და პირნათლად აასრულეს თავ-თავიანთი მოვალეობანიო, მაგრამ, საუბედუროდ, ტოტლებენის ღალატმა ყოველნაირი წინად განზრახული და მოფიქრებული საქმე ჩაფუშა და ამით დიდი ზარალი მიაყენა, როგორც რუსეთს, ისე განსაკუთრებით საქართველოს.

ერეკლეს უტოტლებენოთაც შეეძლო ოსმალეთის განდევნა მესხეთიდგან, რადგან დრო მეტის-მეტად ხელს უწყობდა. ოსმალეთი რუსეთს ეომებოდა და, მაშასადამე, დიდ ჯარს საქართველოსაკენ ვერ გამოჰგზავნიდა, მაგრამ ირაკლი იძულებული იყო საჩქაროდ დაბრუნებულიყო და ქვეყანას მოჰპატრონებოდა. ტოტლებენი ძალით აფიცებდა ქართველებს რუსეთის ერთგულებაზე და თვით ერეკლეს მუქარას უთვლიდა, ანდრია პირველ-წოდებულის ორდენს აგხსნი და საქართველოს რუსეთს შევუერთებო. მოდი და ამისთანა გარემობაში გარეშე მტერს ეომე, როცა შინ ტოტლებენისთანა მოულოდნელი მტერი გაგიჩნდება.[34]

გრაფმა ოსმალებთან ბრძოლის მაგიერ უფრო ხელ-საყრელი საქმე გაიჩინა. ეს საქმე გახლავთ ქართლის დარბევა-დაწიოკება. აწყურიდგან აჩქარებით სადგერს ჩამოიჭრა, რაც ჯარი აქა ჰყავდა დატოვებული, ისინიც წამოასხა და სურამს ჩამოვიდა, აქედან კიდევ რამდენისამე დღის განმავლობაში ანანურს ავიდა. ისე ჩქარა მიდიოდა ტოტლებენი, კაცს ეგონებოდა, უკან მტერი მოსდევსო, თუმცა ამის ხსენებაც არსად იყო. რაც ქართველების ზარბაზნები იყო დუშეთსა და ანანურში, მილეწ-მოლეწა, 200 ფუთი თოფის წამალი ჰქონდა შენახული ერეკლეს ანანურის სარდაფებში, ისიც ტოტლებენმა მოსტაცა, დაეცა თავს არაგვის გუბერნატორს თ. ქაიხოსრო ანდრონიკაშვილს და სულ გაძარცვა და მოუკლა შვილივით აღზრდილი თ. იოსებ შალიკაშვილი[35].

ამასაც არ დასჯერდა. ჰგზავნიდა მუხრანისაკენ პატარ-პატარა რაზმებს და სულ ნაცარტუტას ადენდა სოფლებს. ასე გასინჯეთ, ეკკლესიებსაც-კი არ ინდობდა[36].

უაზრო გამგეობით და უფროსობით კინაღამ მთლად ამოსწყვიტა რუსის ჯარი გრაფმა ტოტლებენმა. 1770 წ. ოქტომბრის პირველ რიცხვებში ტოტლებენი გაემართა ფოთისაკენ. ბევრს ურჩევდა სოლომონი, დაანებე თავი ფოთსა, ეხლა დრო არ არის მანდ ომისა, ჯარს ციებ-ცხელება შეაწუხებსო, მაგრამ ჯიუტმა და თავნება გენერალმა არა შეისმინარა. ფოთს გარს შემოერტყა, ჯარი ისე უხერხულად დააბანაკა, რომ თვითონ რუსები ფოთს ვერას აკლებდნენ, მათი ტყვია უვნებლად კედლებსა ჰხვდებოდა, ოსმალონი-კი შიგ ნიშანში იღებდნენ რუსებს და წუთი-სოფელს ასალმებდნენ.

ამას მეორე უბედურებაც ზედ დაემატა. ზურგიდგან, გურიის მხრიდგან, ოსმალოს ჯარი ეპარებოდა და სცდილობდა რუსები ორ ცეცხლს შუა ჩაეგდო. ტოტლებენს გარდა, ყველა ჰხედავდა—რა უბედურებაც მოელოდა რუსის მხედრობას. კაპიტანი ლვოვი გაჰქანდა მეფე სოლომონთან ქუთაისს და ემუდარებოდა დაეხსნა რუსის მხედრობა განსაცდელისაგან. სოლომონი კიდევ ისე იყო გაჯავრებული ტოტლებენზე, რომ იმის სახელის გაგონებაც არ უნდოდა, რადგან ბრწყინვალე გრაფმა სოლომონს „თათარი“ უწოდა. მაშ, თუ მე „თათარი“ ვარ, რუსებთან საერთო აღარა მაქვს-რაო, ჯავრობდა ღვთისნიერი მეფე. თუმცა ასე გულმოსული იყო, სოლომონმა მაინც შეისმინა ლვოვის თხოვნა, ფიცხლავ გაჰქანდა გურიისაკენ, მიიშველია გურულები, წინ გადაეღობა ოსმალებს და ამით გადაარჩინა ტოტლებენის კორპუსი სრულს ამოწყვეტასა *).

ბ-ნი ლინდა ხშირად ოხუნჯობს და გესლიანად ამბობს, ქართველები, როგორც აღმოსავლეთის მკვიდრნი, უბრალო საქმეს გასჭიმავენ და აზვიადებენ ხოლმეო. ქართველმა ისტორიკოსებმა ასპინძის ომი მეორე კულიკოვის ბრძოლად დასახესო; მეფე ერეკლეს წერილები სარწმუნო არაა, რადგან ერეკლე სწორედ ნამდვილი შვილია აღმოსავლეთისა (воистину восточный человѣкъ) და ყველაფერს გაზვიადებდაო. ასპინძასთან ოსმალებს სულ რაღაც 700—800 კაცი ეყოლებოდათო; ერეკლესა და მოურავოვის სიტყვით-კი მტერს ურიცხვი ჯარი ჰყავდაო[37].

გულ-კეთილ ლინდას ამბავი რომ ვიცი, არც მეფე სოლომონის ღვაწლს შეიწყნარებს და ტრაბახობაში ჩამოგვართმევს, რაცა ვსთქვით იმის ქველობის შესახებ; ამიტომ ისევ კაპიტანი ნ. დ. იაზიკოვი ვიმოწმოთ: „მეფე სოლომონმა დიდი სამსახური გაგვიწია; ჯარით რომ არ აჩქარებულიყო (საშველად), დაღუპვას ვერ გადავრჩებოდითო“[38].

იაზიკოვის სიტყვით, მეფენი მუდამ მზად ყოფილან დახმარება გაეწიათ რუსებისათვის, მაგრამ ტოტლებენი ახლო არავის იკარებდა. მეფეებს ისე შეურაცხჰყოფდა, როგორც უბრალო სალდათსაო. დიდმა და პატარამ ტოტლებენი ჰირივით თურმე შეიძულა[39].

ა. ფრონელი.

(შემდეგი იქნება)

---

[34] იხ. Ист. очеркъ... გვ. 107, 110; С. Соловьевъ, Исторія... т. 28, стр. 142; Грамоты... 222—226, XV; სოლოვიოვი ასე სწერს: „Отъ 12 Мая 1770 г. Тотлебенъ писалъ, что намѣренъ взять Тифлисъ, подчинить всю Грузію русской власти, лишить Ираклія Андреевской ленты и отправить его въ Петербургъ, или вогнать его въ Черное море .

[35] იხ. Грамоты... ტ. II. გვ. 18—19. უპირველესი მოვალეობა ამ გუბერნატორისა ის იყო, რომ ხელი შეეწყო რუსის ჯარისათვის მისვლა-მოსვლაში და მათი ბარგი ეზიდა. ნაწყალობევი ჰქონდა ოქროს საათი, ალმასით მოჭედილი, და ისიც-კი არ შეარჩინა ტოტლებენმა. რა საათი, როდესაც ქალის საკაბე ყალამქარიც-კი მოეტაცნა.

[36] იხ. Потто, Истор. Очеркъ... стр. 105.

*) მეფე სოლომონიც ისე მოიქცა, როგორც აწყურთან ერეკლე. თუმცა გულ-ნატკენები იყვნენ რუსის გენერლისაგან და შეეძლოთ დახმარება აღარ აღმოეჩინათ რუსის მხედრობისათვის, მაინც ტოტლებენის კორპუსს ეხმარებოდნენ, როგორც შეეძლოთ.

[37] იხ. "В. Сб." № 10, 1901 г. стр. 63 რუსულად: „Она (битва при Аспиндзѣ) выставляется блестящей побѣдой надъ огромнымъ непріятельскимъ корпусомъ“.

[38] იხ. Потто, Ист. очеркъ... стр. 116. „Царь Соломонъ великую намъ услугу оказалъ; ежели-бы онъ не спѣшилъ съ войскомъ, то-бы наша гибель была“.

[39] Тотлебена „въ здѣшнихъ народахъ до послѣдняго человѣка не терпѣли“. გვ. ib. 114 უფრო იაზიკოვს ვიმოწმებთ ტოტლებენის შესახებ, ვიდრე ლვოვს, რადგან ბ-ნი ლინდა ლვოვს არ ენდობა. ლვოვი ტოტლებენს წაეჩხუბა და რაღა უნდა დავუჯეროთო. ტოტლებენიც ხომ წაეჩხუბა ლვოვს, მაშ გრაფს რაღად უჯერებს? გამოდის, რომ გენერლის სიტყვა ოქროა, კაპიტანისა-კი ლაყე კვერცხი. ესეც ახალი ისტორიული მეთოდი!

ცით სულ 24,792 ტომი. ასე განაწილებული ეს წიგნები: ენციკლოპედია, კრებულები, მიმოხილვანი, სამეცნიერო საზოგადოებათა გამოცემანი—419, ღვთის-მეტყველება—2,218, იურიდიული და საპოლიტიკო მეცნიერებანი—2,599, ბელეტრისტიკა—2,935, პედაგოგია და საბავშვო გამოცემანი—3,677, მკურნალობა—1,645, ისტორია—1,090, გეოგრაფია—1,381, საკომერციო და სატეხნოლოგო გამოცემანი—1,548, ფილოლოგია და ლიტერატურის ისტორია—1,427, ფილოსოფია—388, სამხედრო გამოცემანი—554, ხუროთ-მოძღვრება და საინჟინერო მეცნიერებანი—739, სასოფლო მეურნეობა—854, სამხატვრო ხელოვნება—735, სახალხო გამოცემანი—623, სხვა-და-სხვა გამოცემა—555.

⁂

ამას წინად იაპონიაში ერთს დიდად გავრცელებულ გაზეთს უკითხნია თავის ხელის-მომწერთათვის, შეგვატყობინეთ, რომელ ევროპიულ მწერლის ნაწარმოებს უფრო ჰკითხულობთ და თქვენ ანცნობთა შორის უფრო გავრცელებულიაო. პასუხებიდგან გამოირკვა, რომ იაპონელთ უფრო ჰქვარებიათ დარვინი, შემდეგ ჰერბერტ-სპენსერი, არტურ მოპენჰაუერი, გეტე და ბოლოს ლ. ტოლსტოი.

⁂

ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორს შესანიშნავ მკურნალს ერნსტ ფონ-ლეიდენს 7 აპრილს 70 წელიწადი უსრულდება. ბერლინში კომიტეტი შემდგარა დღესასწაულობის გასამართავად. წელსვე 50 წელიწადი სრულდება, რაც ლეიდენმა დოქტორის ხარისხი მიიღო. კომიტეტის წევრებად არიან პროფესორები, უმაღლესი მოხელენი, ბერლინის ქალაქის თავი და სხვანი. თუმცა ლეიდენი 70 წლის კაცია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრსა შრომობს.

წერილი რედაქციის მიმართ

I

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ იმათ, რომელთაც კეთილ-ინებეს და ფასანაურის საეკკლესიო სკოლის ქართულს ბიბლიოთეკას ღონის ძიება აღმოუჩინეს ფულით და წიგნებით: მღვდელს დ. მჭედლიძეს, მღვდელს პანკოტაძეს, ინჟენერს ი. ნიკოლინს, ტყის უფროსს ზაკტრეგერს, ექიმს ვ. ტიგერს, ი. კრილოვს, ა. არტემიევს, ფოსტის კანტორის უფროსს რ. წინამძღვაროვს, მის თანაშემწეს ვინოგრადოვს, გ. კობაიძეს. ა. ქავთაროვს, ს. კარპოვიჩს, ვ. ცარევსკის, ვ. ბუჩუკურს, მ. ჩოხელს, ა. კირწყილას, ა. ტრიპოლსკის, ა. მელიქოვს, გ. წიკლაურს, ა. ვეშაგურს, ა. ტალაბაურს, პ. ნევოლოვს, გ. ბექაურს, მ. ოგბაიძეს, ა. შერგილოვს, ა. ბურდულს, ა. თუმანოვს, ჩ. ზამუკოვს, პ. კობაიძეს და პ. აბულოვს.

ფასანაურის საეკკლესიო სკოლის მასწავლებელი—ბიბლიოთეკარი კონსტანტინე კავკასიძე.

II

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ საშუალებით, როგორც ჩემის, ისე ჩემდამო რწმუნებულის სკოლის მოწაფეების მხრივ, უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომლებმაც შემოსწირეს თავიანთი წვლილი ალაგირის ქართულს სკოლას ბუნდოვანის სურათებისათვის ფარნის შესაძენად. აი, სია შემომწირველთა.

ილია ნონიას-ძემ ლობჯანიძემ, გიორგი და საბა გობეჯიშვილებმა სამ-სამი მანეთი; ბესო მეტრეველმა 2 მანეთი, დავით მეტრეველმა, პ. ლომთათიძემ, ზურაბ ჩიკვილაძემ, იასონ ჩიკვილაძემ, პავლე არჩვაძემ, სოლომონ მეტრეველმა, საბა ლობჯანიძემ, მალაქია ლობჯანიძემ, გიორგი ხიდეშელმა და სიმონ მაისურაძემ თითო მანეთი (1 р.); მალაქია სოლომ. ლობჯანიძემ, მალაქია მეტრეველმა, ბაორბეკ ფარძინოვმა, სოლომონ ლობჯანიძემ და სიმონ ლობჯანიძემ ათ-ათი შაური (50 კ.); თომა ლობჯანიძემ—1 მ.; თევდორე ლობჯანიძემ, ისიდორე ლობჯანიძემ, პეტრე დოკვაძემ და სიმონ მეტრეველმა ათ-ათი შაური (50 კ.); გრიგოლ გავაშელიშვილმა და იობ სხირტლაძემ თითო აბაზი—(20 კ.);—სულ 26 მანეთი და 90 კაპ. ამ ფულებით უკვე გამოვიწერეთ ფარანი მოსკოვიდან, რომელიც ამ დღეებში მოგვივიდა.

ალაგირის ქართულ სკოლის მასწავლებელი პავლე ლომთათიძე.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

23 მარტი.

პეტერბურგი. სამთო ინჟენერთა საზოგადოებას პროფესორმა ვოისლოვმა წარუდგინა პროექტი უმაღლეს სატეხნიკო განათლების რეორგანიზაციის შესახებ. ამ პროექტით მოსწავლეთ მიეცემათ საშუალება თვითონ აირჩიონ საგნები. ეგზამენები მთავრობის მიერ დანიშნულმა კომისიებმა უნდა მოახდინონ ყველა საგანში ცალკე.

ბერლინი. რუსეთში ცნობილი ექიმი, პროფესორი ლეიდენი, 20 აპრილს დღესასწაულობს თავისს დაბადების დღეს. ამ დღეს შეუსრულდება 70 წელიწადი.

ლონდონი. სესილ როდსმა უანდერძა ოქსფორდის უნივერსიტეტს ფული სტიპენდიების დასაარსებლად. ეს სტიპენდიები უნდა მიეცეს ინგლისის ახალშენებისა და ამერიკის სტუდენტებს. გარდა ამისა, როდსმა დააწესა იმავე უნივერსიტეტში გერმანელ სტუდენტებისათვის 15 სტიპენდია და ამბობს ანდერძში, რომ ინგლისს, ამერიკასა და გერმანიას შორის კეთილი განწყობილება ხელს შეუწყობს საყოველთაო მშვიდობიანობასაო.

კონსტანტინეპოლი. უსკიუბიდგან დეპეშით იტყობინებიან იპეკში მომხდარ უწესოების შესახებ. არნაუტები თავს დაესხნენ სასახლეს და ტელეგრაფის სადგურს. მოხელეები ტყვედ წაიყვანეს, დეპეშა გაგზავნეს სულთანის სასახლეში და მოითხოვეს დატუსაღებულ ალბანელთა განთავისუფლება.

ბელგრადი. სერო კრებამ დაადგინა, რომ სერბიის მხედრობის ჯარი მშვიდობიანობის დროს 12,000 კაცის მაგიერ, როგორც აქამდე იყო, 17,000 კაცისაგან შესდგებოდეს.

პარიჟი. გაზეთი ,,ეკონომიური მიმოხილვა‘‘ ამბობს: რუსეთის სესხის მარჯვე განაღდება გერმანიასა და ჰოლანდიაში ამტკიცებს, რომ რუსეთის კრედიტი დაფუძნებული არ არის რომელისამე ერის გრძნობაზე, არამედ უფრო მტკიცე გარემოებაზე, სახელდობრ იმაზე, რომ რუსეთის ფინანსები კარგს მდგომარეობაში ჰგონიათ.

სევასტოპოლი. მოვიდა ახლად დანიშნული გრადონაჩალნიკი გენერალი ხვოსტოვი.

ვენა. ,,ნეი-ფრ. პრესა‘‘ სწერს კალეშინში მომხდარ შეტაკების შესახებ, რომ ამ საზღვარზე ყოველ გაზაფხულს ემზადებიან ასაჯანყებლადაო. ავსტრია-უნგრეთი და რუსეთი ვალდებულნი არიან ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას, რადგან ორივე სახელმწიფო შეთანხმებით მოქმედებენ. რუსეთის რჩევით, ოსმალეთის მთავრობამ ჯარი გაგზავნა, რათა ხელი შეუშალოს სერბიიდგან ბრბოების შესვლას. უეჭველია, ავსტრ-უნგრეთის მთავრობა თავისის მხრივ ურჩევს სერბიის მთავრობას თვალ-ყური ადევნოს თავის საზღვარს. იმედი აქვთ, რომ ამ გზით აჯანყებას მოსპობენ.

24 მარტი.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ.“-ში დაბეჭდილია მოკლე ანგარიში თავად ობოლენსკისა შემახასა და დაზარალებულ სოფლებში ყოფნის შესახებ.—მილანში მეოფი რუსეთის ელჩი სთხოვს რუსეთის გამოჩენილ ვაჭრებს, რომელნიც ვაჭრობენ ხარის და ცხენის ტყავებით, გამხმარი სისხლით და ჯაგრით, შეატყობინონ ელჩს თავისი ადრესები და პირობანი იტალიის ვაჭართათვის გარდასაცემად.

— 23 მარტს დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა დაათვალიერა კრესტოვოზდვიჟენის საკრებულოს სავადმყოფო.—23 მარტს დიდმა მთავარმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ საუზმეზე მიიწვია მარშანი და სოვაჟი.

ლონდონი. 18 მარტს დრიკულდთან ბრძოლის დროს ბურებს მოუკლეს და დაუჭრეს 137 კაცი; დელარეისთან ბრძოლაში ინგლისელებს მოუკლეს 3 ოფიცერი და 24 ჯარის-კაცი, დაუჭრეს 16 ოფიცერი და 131 ჯარის-კაცი.

კონსტანტინეპოლი. პორტამ მაკედონიის საშიშ ადგილებში დააყენა ოც-ოცი ჯარის-კაცი, ზოგგან მეტიც. ფიქრობენ, ამ საშუალებით დაიცვან მშვიდობიანობა.

ბელგრადი. მაღალ წრეებში განგებ დამახინჯებულ ფაქტად სთვლიან „ნეი-ფრეი—პრესსის“ ცნობას იმის შესახებ, ვითომ სერბიაში ადგენდნენ ბრბოებს და ფარულად შემოჰქონდეთ იარაღი. სერბიის მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ დაცულ იქმნას საზღვრებზე მშვიდობიანობა და ეწინააღმდეგება ყოველ განზრახვას, რომელიც მის თანამემამულეთ საშიშს მდგომარეობას უქადის. მეფე დასთანხმდა ფინანსთა მინისტრის სამსახურიდან გადადგომას.

ადენი. მეფე ედუარდ მე-VII-ს გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად მენელიკის წარმომადგენლად იქმნება რას-მაკონენი.

ლონდონი. ინგლისელებს 18 მარტის ბრძოლის დროს ბოშმანსკოპში მოუკლეს 20 კაცი და დაუჭრეს 56.

გლაზგო. როდესაც ინგლისელები და შოტლანდიელები ბურთს თამაშობდნენ, მაყურებლებმა ბარიერი გაანგრიეს. 3 კაცი მოკვდა და 50 დაშავდა.

24 მარტი.

პეტერბურგი. 23 მარტს პეტერბურგიდგან წავიდა შრომის სახლთა სამზრუნველოს საპატიო წევრი რ. ო. ბუქსგევდენი, რომელმაც მოსკოვსა, ნ.-ნოვგოროდსა და სხვა ქალაქებში მოხსენებანი უნდა წაიკითხოს დამნაშავე ბავშვთა ხასიათის გამასწორებელ დაწესებულებათა დაარსების საჭიროების შესახებ.—23 მარტს კატორგაში გაგზავნილთა ოჯახებისათვის მზრუნველ საზოგადოების მდივანი ბარონი რ. ო. ბუქსგევდენი გაგზავნილ იქმნა ვლადივოსტოკსა, ნიკოლაევსკსა, სახალინსა და პორტ-არტურში იმ ქალთა და ბავშვთა ყოფა-მდგომარეობის შესასწავლად, რომელნიც ნებაყოფლობით გაჰყვნენ კატორგაში გაგზავნილთ.

რადომი. რადომის ქალაქის თვით-მმართველობას ეძლევა ხაზინიდგან სესხად 60,000 მანეთი სარგებლის გადაუხდელად. ამ ფულით აგებულ უნდა იქმნას რადომში შენობა სახელოსნო სასწავლებლებისათვის.

ლიბავა. ხელმწიფის მშვიდობის მოყვარის სახსოვრად ეკკლესიის ასაგებად შეკრებილ იქმნა 123,573 მანეთი.

ტაგანროგი. აზოვ-დონის ბანკის აქციონერთა კრებაზედ დამტკიცებულ იქმნა 1901 წლის ანგარიში. წმინდა მოგება 1.369,609 მანეთია; დივიდენდი—ორმოც-ორმოცი მანეთი.

მოსკოვი. დღეს კრება ექმნება დედათა სამკურნალო ინსტიტუტის საზოგადოების მოსკოვის განყოფილებას. წლის განმავლობაში მიღებულ იქმნა 13,607 მანეთი.

25 მარტი.

პეტერბურგი. 24 მარტს, საღამოს 8 საათზედ, სტრელნაში გარდაიცვალა გლებ უსპენსკი.

პარიჟი. პარიჟში დაბრუნდა ლუბე, რომელმაც აღდგომის დღესასწაულები მონტელიმარში გაატარა. სადგურიდგან გამოსვლისას პრეზიდენტის ეტლთან მივიდა ვიღაც კაცი და სთქვა: „სამართლიანობას ვთხოულობ“. უცნობი მაშინვე დააპატიმრეს. თან გატენილი რევოლვერი ჰქონდა. ეს კაცი ბუჰგალტერი სურნი აღმოჩნდა, რომელიც დევნის მანიით ყოფილა შეპყრობილი. სურნმა სთქვა, რომ რევოლვერით თავი უნდა მომეკლაო.

კონსტანტინეპოლი. იპეკში გაგზავნილ იქმნა ორი ბატალიონი. მიტროვიცსა და ახალ ბაზარში ყველანი შიშმა მოიცვა. ტელეგრაფი და სასახლე მეამბოხეთ დაიჭირეს. პრიშტინიდგან გენერალი შუნსი-ფაშა წავიდა წესიერების აღსადგენად. პორტამ ცირკულიარი გაჰგზავნა საქმის ვითარებათა შესახებ მაკედონიაში.

გლაზგო. ბურთაობის დროს, როდესაც ბარიერი გაანგრიეს, დაშავდა 125 კაცი.

ვარშავა. რადგანაც შეაჩერეს რკინის გზის შტოს გაყვანა კალიშიდგან საზღვრამდე, ადგილობრივ გაზეთების სიტყვით, გერმანიის რკინის გზის მოხელეებს შეაქვთ გზათა სამინისტროში ახალი, უფრო შეღავათიანი, პროქტი რკინის გზების შეერთებისა.

26 მარტი.

პეტერბურგი. 26 მარტს ცხენოსან რაზმის დღესასწაულისა გამო მანეჟში პარადი გაიმართა. დაესწრნენ მათი უდიდებულესობანი, საიმპერატორო გვარეულობის წევრნი, მარშანი, და სოვაჟი.—25 მარტს საზამთრო სასახლეში გამართულ იქმნა უმაღლესი საუზმე. მიწვეულ იქმნენ მარშანი და სოვაჟი.

ლონდონი. კიტჩენერი დეპეშით იუწყება პრეტორიდგან, რომ ბურთა უფროსი კრუიცინგერი გამართლებულ იქმნაო. იმას ისე ექცეოდნენ, როგორც ჩვეულებრივ ტყვე მეომარს.

მარსელი. მოვიდა გენერალ-გუბერნატორი ინტოსტანსის დუმე, რომელსაც აზრადა აქვს თავისი კანდიდატურა წამოაყენოს პარლამენტის წევრობაზედ. დუმემ უთხრა კორესპონდენტს. „საფრანგეთი უნდა დაადგეს აღმოსავლეთში მტკიცე მოქმედების პოლიტიკას. დღევანდელი უპირატესობა საფრანგეთისა საიამში დაიჩრდილება, თუ იგი ნამდვილ ზომებს არ მიუღებსო.“

პიატიგორსკი. „წითელის ჯვრის“ კოლონია, რომელიც შარშან დაარსდა პიატიგორსკში, იმდენად განვითარდა, რომ დღეს შეუძლია მიიღოს 250-მდე ავადმყოფი 30 მანეთად თვეში.

ეკატერინოსლავი. ქალთა განათლების საზოგადოების თავმჯდომარეს ქ. მესარაშმა შესწირა საზოგადოებას 35 ათ. მან.

სარატოვი. არსდება მწერალთა და მეცნიერთა საურთიერთო დახმარების კასსა.

კრონსტადტი. თუმცა შალკ-ბურგერს მიწერ-მოწერა აქვს სტეინთანა რომელიც დელარეისთანაა, მაგრამ, დაშორებულის მანძილის გამო, მოლაპარაკებამ თვალსაჩინო ნაყოფი ვერ მოიტანა. სტეინი და შალკ-ბურგერი შეთანხმდნენ, რომ ტრანსვაალის დელეგატები მალე კრონსტადტიდგან სხვა ადგილას გადავიდნენ მოლაპარაკების გასაადვილებლად.

ვენა. სამინისტროს განკარგულებით გაუქმებულ იქმნა განსაკუთრებულ ზომები, ტრიესტში შემოღებული.

ლონდონი. „Dily Mail“-ი იუწყება, რომ შალკ-ბურგერმა ზავის ისეთი პირობანი დაასახელა, რომელთა მიღებაც ინგლისს შეუძლიანო.—,,დაფნის სააგენტოს‘‘ დეპეშით ატყობინებენ პრეტორიიდგან, რომ მთავრობის გაზეთები აცხადებენ, ვითომ კასპარ კრიუგერმა, პრეზიდენტის უფროსმა შვილმა, ტრანსვაალში მოსამართლედ ყოფილმა, ფიცი მიიღო ინგლისის ერთგულებაზეო.—აღდგომის დღესასწაულების შემდეგ პალატა შეიკრიბა. ბალფურმა სთქვა, რომ ვერაფერს ვიტყვი ზავის გამო მოლაპარაკების შესახებაო.—კიტჩენერი იუწყება, ფრენჩის ჯარს ბრძოლა არა ჰქონიაო. კაპის ახალშენის დასავლეთ ნაწილში მეოფი ბურები ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ. 18 მარტიდან ტრანსვაალის დასავლეთ ნაწილში მეოფ ინგლისის ჯარს ბრძოლა არა ჰქონია. ბურთა უფროსი ერაზმი მოკლულ იქმნა ბოშკოფის ბრძოლაში.

ბერლინი. Rheinische Wessfalische Zeitung-–ში დაბეჭდილია წერილი გერმანელისა, რომელიც ბურთა შორის ყოფილა. ავტორი გადაჭრით ამბობს, რომ ომი ბურთა სასარგებლოდ გათავდებაო. მეომარ ბურთა რიცხვა 20 ათ. ნაკლები არ არისო; მარტო დევეტის ჯარში 5000-მდე კაციაო. ინგლისელებს ხელთ აქვს მხოლოდ რკინის გზა, ბურები ბატონობენ მთელს ტრანსვაალს-ორანჟეს. დაწვრილებითი ცნობებს მოიტანს კოანდირი ფრონემანი, რომელიც ევროპისაკენ გამოემგზავრა.

პეშავერი. გადა მოლა ჯაბულში მოვიდა. ემირი და მოლა მთელს ოთხს საათს საუბრობდნენ. ემირმა აჩუქა მოლას კანონთა ახალი კრებული.

პეტერბურგი. ,,პრავიტელ. ვესტ.‘‘-ში გამოქვეყნებულია მთავრობის ნებართვა, რომელიც ეძლევა ბანკს სპარსეთში ახალის (5 ბილ.) 5%-იან სესხის სასყიდლად.

პეტერბურგის ბირჟა, 20 მარტი.

ვექსილის კურსი 9 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,65
ბირჟის დისკონტი	4½—6½
4% სახელმწიფო რენტა	6⅝ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	"
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	464 წვრ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	351 —
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	303 გაყიდ.
4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	
აქციები ,,	
,, კასპიის ამხანაგობისა.	5025 გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	462 წვრ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	227 "

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ, (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 28 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ., (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით, ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3, ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5, დღის 3 ს. 35 წ. (49ს. 33 წ.), ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66, ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.) ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

ქუთაისიდგან ბაქო-ტფილისისკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) [illegible] 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდგან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

ქუთაისიდგან ბათუმში:

1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდგან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადება

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

ამოდის ნათელი, ვაჟა-ფშაველასი	15 კ.
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	15 ,,
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	5 ,,
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	30 ,,
აბო ტფილელი, ე. გ.	30 ,,
Або Тифлисскій, Е. К.	5 ,,
ამბავი მაღლის ქვისა	5 ,,
აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	15 ,,
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. 50 ,,
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	40 ,,
ბენია	10 ,,
ბუნების სოფლური მოვლენანი, ს. ჯუღელისა	15 ,,
ბაში-აჩუკი, აკაკისა	30 ,,
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა	1 მ. 30 ,,
გლეხ-კაცის ისტორია, III IV ტ.	1 მ. 20 ,,
გამზრდელი, აკაკისა	5 ,,
გასართობი	10 ,,
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	15 ,,
გუსტავ ვაზა	5 ,,
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	60 ,,
გიორგი და მიხეილი	10 ,,
Древный Анчисхатскій соборъ.	
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა	,, 30
ჩანგი, ვ. აბაშიძისა	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.	
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა	1 "
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	,, 50
Карбеловъ	,, 20
დედა, ანდერსენისა	8 ,,
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 მ. ,,
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	20 ,,
Двѣ святыни въ Кахетіи, Е. К.	10 ,,
Давидъ Гареджели, Е. К.	15 ,,
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა	15 ,,
ელენე, მოთხრობა	5 ,,
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	40 ,,
Назрѣвшій вопросъ, Е. К.	20 ,,
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა	5 ,,
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ	3 ,,
პატარა ლორდის თავგადასავალი	30 ,,
პატრა ვეფხვის ტყაოსანი	25 ,,
რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა	40 ,,
სიტყვიერების თეორია, ევ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა	1 ,,
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა.	60 ,,
აერო დღესასწაული	25 ,,
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р. ,,
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა.	3 ,,
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К	30 ,,
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ
თეორია სიტყვიერების, კელენჯერიძისა	40 ,,
თამარ-დედოფლის სამკაული	10 ,,
თამარ ლაზნელი, ან. ფურცელაძისა	50 ,,
ისტორია ქართულ სტამბების	15 ,,
იანიჩარიდ., ნახუცრიშვილისა	40 ,,
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II ტ. ქუთათელაძისა	60 ,,
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი	1 ,,
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა	3
საყმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილისა.	,, 5
სუმბული, ს. ქვარიანისა.	,, 2
ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჩაბელისა	,, 5
უკვდავთა დადგენანი, შ. ჯანაშვილისა	,, 1
ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა	,, 5
ქრისტინე, ე. ნინოშვილისა	,, 2
ქართული მწერლობა, შ. ჯანაშვილისა	,, 4
ქეთო და კოტე, საყმაწვილო მოთხრობა	,,
ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ისა	,, 2

Дозволено цензурою. Тифлисъ 26 мар. 1902 г. Типографія А. М. Сударевой. въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი **ა. ი. სარაჯიშვილი.** გამომცემელი **ი. ჭავჭავაძე.**